619
1974
ეროვნული
ბიბლიოთეკა






მრავალ ახალ წელს!







# დილა

№ 1
იანვარი
1974

# 1974

## ალეკო შენგელია

მოვიდა როგორც სიჭაბუკე,
ვითარ სინათლე,
მოვიდა იგი და პირველი
მზეს მივესალმე.
გასრულდა დიდი გამარჯვების
დიდი წინადღე,
მარადისობას გადავეცი
წელი მესამე.

კარი შეხსენით ღამის დარაბებს,
და ნახევარი პლანეტის სისქის
გაფანტეთ ნისლი,
მარადიული მოლაპარაკე,
ახლა წისქვილი ალაპარაკეთ,
ჰეი, თოვლისფერს
უსმინეთ წისქვილს,
როგორც კონვეირს ქვეყნის ბარაქის,
როგორც მომღერალს გარჯის და ოფლის,
როგორც დიდ ბელელს ყველა ქალაქის,
ყველა ოჯახის და ყველა სოფლის,
გთხოვთ მოუსმინოთ ოღონდაც წისქვილს,
საგალობელი მინდა ვთქვა მისი!

მოვიდა, არსად დაიგვიანა,
თასი ასწია ხელმადლიანმა,
თეთრნაბდიანმა წელმა ახალმა
ქართლის წინაშე თავი დახარა.

შეხედეთ, დატკბით, უსმინეთ დაზგებს,
უსმინეთ ბიჭებს სინათლით სავსეს,
დაანთეთ ქურა კიდევ მრავალი,
გზა გამინათეთ წინ მიმავალი.

ასწიეთ თასი,
დიდება ამ დღეს,
ეს თეთრი თოვლი გულს დამიშინეთ...
მსურს ამ დაზგებთან სიმღერად დავდგე,
ჰეი, საქართველოვ, ჩემი ისმინე!

მოვიდა, როგორც სიჭაბუკე,
ვითარ სინათლე,
მოვიდა იგი და პირველი
მზეს მივესალმე.
გასრულდა დიდი გამარჯვების
დიდი წინადღე,
მარადისობას გადავეცი
წელი მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (443) იანვარი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© „დროშა", 1974

# მეგობრები გვილოცავენ

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!



С новым годом друзья! Счастья вам и счастья грузинской земле!

Ю. Смуул



С. Масевич



Мих Лукашин



В.И. Бураковский



Арам Хачатурян



Арсений Тарковский



Майя Плисецкая

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ./მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბალუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე.

12410

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ...

## კონსტანტინე სიმონოვი

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი.

მომილოცნია ახალი წელი! მომილოცნია, ჩემო ქართველო მეგობრებო, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებო! დაე იყოს ეს ახალი წელიწადი უფრო კარგი, ნაყოფიერი, და რაც შეიძლება, უფრო ბედნიერი ყველა თქვენგანისათვის, ჩვენი ხალხისათვის.

იმ ადამიანს, რომელსაც ოცდახუთი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველწლიურად რამდენიმე თვით უცხოვრია და უმუშავია საქართველოში, მას უფრო შეუძლია შეამჩნიოს ის კეთილისმყოფელი გარდაქმნები, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ ხანებში, ვიდრე მათ, ვინც თქვენი შედარებით იშვიათი სტუმარი ყოფილა. მე კარგად ვგრძნობ, თუ როგორ შეიცვალა სულიერი ამინდი რესპუბლიკისა. განსაკუთრებით შარშან, რომელსაც ცვლის ეს ახალი წელიწადი.

შარშანდელი წელიწადი ლიტერატურაში იყო წელიწადი მაიაკოვსკისა. მაიაკოვსკი ისევე განუყოფელია ბაღდათისაგან, რევოლუციური ქუთაისისაგან, როგორც ოქტომბრისაგან პიტერი და წითელი მოსკოვი. და მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ იმ დღესასწაულში, რომელიც ჩატარდა პოეტის მშობლიურ ქართულ მიწაზე, ქართველ მეგობრებთან ერთად ჩვენც ვმონაწილეობდით — რუსი პოეტები. ეს იყო ჩვენი საერთო სიხარული, გაიდო კიდევ ერთი მაგარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მოძმე მწერლობებს.

შარშანდელი წელიწადი იყო წელიწადი გალაკტიონისა — გასაოცარი ძალისა და შთაგონების პოეტისა. რუს მკითხველს კიდევ მოელის იგემოს სურნელება, ძლიერება და სილამაზე მისი პოეზიისა ეგ ახალი მრავალრიცხოვანი თარგმანებით, რომელიც ახლახან შეიქმნა. და მომავალში ამითაც, რასაც ახლა ქმნიან რუსი პოეტები. ჩვენ ამ მწრივ ვალში ვიყავით გალაკტიონთან, ამდენად — მთელ ქართულ პოეზიასთან. მწამს და მჯერა, რომ ამ ახალ წელიწადს ვალში არ დავრჩებით და შევასრულებთ ამ დიდ დაპირებას.

## ალა მასევიჩი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ხშირად, ძალიან ხშირად მახსენდება თბილისის ცა, ჯადოსნური თალი საქართველოსი, დღე რომ მზე კაშკაშებს ზედ, ღამე კი ვარსკვლავებით მოიჭედება.

აკვნიდან დამყვა ამ ულრუბლო, სუფთა ცის სიყვარული. მე თბილისში დავიბადე, აქ გავიზარდე, დედაჩემი ქართველი გახლდათ. თბილისში მყავს ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები. ჩვენი ოჯახი მოსკოვში საცხოვრებლად ჯერ კიდევ ომამდე გადავიდა. მაგრამ სამშობლო მე არ დამვიწყებია. ყოველ წელიწადს ვცდილობ ჩავიდე საქართველოში, მოვინახულო ჩემი ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, ჩემი საყვარელი თბილისი.

აქ მე ტყუილად როდი ვახსენე ქართული ცა და ვარსკვლავები. ეს ვარსკვლავები ქართველი პოეტების შთაგონების წყაროა. გარდა ამისა, ქართული ცა ასტრონომებისათვის უმდიდრესი მასალაა.

ყველასათვის ცნობილია ქართველ ასტრონომთა მიღწევები. ჩვენი აკადემიის ასტრონომიული საბჭო მჭიდრო კავშირში იმყოფება აბასთუმნის ობსერვატორიასთან. ჩვენ ერთად, გაერთიანებული ძალებით უფრო ღრმად შევისწავლეთ ვარსკვლავთა შინაგანი წყობის ევოლუციის პრობლემები. პრობლემები, რომლებზეც უკანასკნელი წლების მანძილზე ვმუშაობთ. ჩვენს საბჭოს ახლო და საქმიანი ურთიერთობა აქვს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან: რაისა ბართაიასთან, ნიჭიერ მკვლევარ ქალ მზია ქუმსიაშვილთან. რა თქმა უნდა, ჩვენი კონტაქტების, იდეებისა და საერთოდ ყველა საქმის სულისჩამდგმელია აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი, გამოჩენილი მეცნიერი ევგენი ხარაძე.

აბასთუმნის ობსერვატორია აქტიურად მონაწილეობს შორეული ხელოვნური კოსმოსური სხეულების თვალთვალში. შესანიშნავი შედეგები, რომლებსაც ისინი აღწევენ თავიანთ საქმიანობაში, ლაპარაკობენ ამ კოლექტივის მაღალ პროფესიონალიზმზე.

ამერიკელები, შვედები, ჰოლანდიელები და სხვა ქვეყნების მეცნიერები, რომლებიც ნამყოფი არიან აბასთუმანში, უნახავთ ობსერვატორია, მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობას.

1975 წელს, პირველად საბჭოთა კავშირში შედგება ევროპის ასტრონომთა საერთაშორისო თათბირი, რომელიც თბილისში ჩატარდება. წარმატებებს გისურვებთ ამ საქმეში, — აი ჩემი პირველი საახალწლო სურვილი.

მინდა აგრეთვე ვუსურვო ჩემს მეგობრებს იშვიათი და კაშკაშა კომეტის „კოჰოუტეკის“ იღბლიანი ფოტოფირები, რომლის გაელვებამ შესძრა მთელი ასტრონომიული სამყარო.

და ბოლოს, დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ასტრონომ ქალთა შორის ბევრი ქართველი ქალია. სულით და გულით ვუსურვებ მათ ახალ წელს ბედნიერებას, სიკეთეს, სიხარულს.

## არამ ხაჩატურიანი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ძალზე მსიამოვნებს, რომ მომეცა საშუალება მთელი გულით, მხურვალედ მივულოცო ახალი წელიწადი უპირველეს ყოვლისა ჩემს კოლეგებს — კომპოზიტორებსა და მუსიკოსებს, ყველას, ჟურნალის ყველა მკითხველს. ვუსურვო მათ ბედნიერება და წარმატება შრომასა და შემოქმედებაში. განსაკუთრებით მსიამოვნებს მივულოცო ეს დღე ჩემს მშობლიურ თბილისელებს.

იმ ქალაქში ჩამოსვლა, სადაც დავიბადე, ჩემთვის ყოველთვის ამაღელვებელი და სასიხარულოა. ამაღელვებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ანგარიშს ვაბარებ და გამოვდივარ ფაქიზი და ჭკვიანი მსმენელის წინაშე, არამედ იმიტომაც, რომ თბილისის ყოველი ქუჩა და კუნჭული მახსენებს ჩემს შორეულ ბავშვობას. მე მხიბლავს თბილისის სილამაზე, მიყვარს ქართული მუსიკის მრავალხმიანობა, მატყვევებს სიცოცხლით სავსე ცხოვრება ქალაქისა, მიყვარხართ კიდევ იმიტომ, რომ თქვენ ბევრი გყავთ ნიჭიერი მუსიკოსი და რომ საქართველო არის მაღალი კულტურის ქვეყანა. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს!

## მიხეილ ლუკონინი

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პოეტი.

ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ახალ, 1974 წელს, ვერ შევძლებ კვლავ გავიმეორო ახალი წლის ჩემი ერთი ძველი შეხვედრა ქართულ მიწაზე, რომელიც დღემდე არ დამვიწყნია და მეხსომება მთელს სიცოცხლეში. იდგა 1965 წლის 31 დეკემბერი. ჩემს მეგობრებს დავუკავშირდი საქართველოში, ახალი წელიწადი მივულოცე. ყურმილში შემომესმა დაბეჯითებითი მოთხოვნა-ბრძანება—სასწრაფოდ ჩავფრენილიყავი თბილისში. ასეც მოვიქეცი. დავდე თუ არა ყურმილი, გავწიე აეროპორტისაკენ... და სულ მალე მეგობრის სახლში გავჩნდი, სულზე მივუსწარი საახალწლო მეგობრულ სუფრას!

ახლა ისიც მინდა ვთქვა, რომ მოსკოვში სამი თვის შემდეგ დავბრუნდი — ახალი ლექსების კრებულით— „მთის ფესვები“.

უამრავ ჩემს ფიქრსა და აზრს ადამიანებზე, ცხოვრებაზე, უამრავ ჩემს სტრიქონს ვუმადლი იმას, რაც ვნახე და განვიცადე საქართველოში. ამ ჩემს წიგნსაც — „აუცილებლობას“, რომელმაც შარშან სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, და რომლის ნახევარსაც საქართველოში დაბადებული ლექსები შეადგენს, თქვენი მიწის მადლი აცხია.

შეუძლებელია ამ პაწაწინა წერილში გამოვხატო ყველა გრძნობა, რაც თავს მახვევია თქვენი გახსენებისას. მთავარია გრძნობა, გრძნობა მეგობრობისა. მე კი ყველაზე უფრო ვაფასებ სწორედ ამ მეგობრობას.

ჩემო ქართველო მეგობრებო — ქართველო ბავშვებო, ქართველო ქალებო და ვაჟკაცებო, გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ პოეზიას ცხოვრებაში.

## არსენი ტარკოვსკი

პოეტი.

გულითადი მადლობა ჩემს ძვირფას მეგობრებს, რომელთაც მომცეს საშუალება მივმართო ჟურნალის მკითხველებს ჩემი საახალწლო მილოცვით!

პოეზია უმაღლესი ფორმაა ენის არსებობისა, ენა კი — ერთ-ერთი საწინდარია ხალხის უკვდავებისა. გიყვარდეთ პოეზია, გაუფრთხილდით თქვენს პოეტებს, ისინი ეროვნული დიდების მატარებელნი არიან. პოეტები იცავენ ხალხის ისტორიულ წარსულს, ქმნიან, ზრდიან აწმყოსა და მომავალს.

საახალწლო სალამს გიძღვნით, საუკეთესო სურვილებს, სიკეთეს, ბედნიერებას, აყვავებას, მშვიდობას, კეთილდღეობას გისურვებთ ნაცნობ და უცნობ მეგობრებს, ერთ-ერთი მთარგმნელი რუსულ ენაზე განსაცვიფრებელი ქართული პოეზიისა.

# ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ნათელი გზა უჩვენა კაცობრიობას. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებულმა მშრომელებმა, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო დააარსეს. საბჭოთა ხალხის, მთელი სოციალისტური ბანაკის წინსვლა, არნახული აყვავება და გრანდიოზული მიღწევები ლენინის სახელთან, მისი იდეების გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.

ლენინი აღარ არის, მაგრამ მისი საქმე უკვდავია. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით საბჭოთა ადამიანები, ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობენ და ძლევამოსილად მიაბიჯებენ წინ — კომუნიზმისაკენ.

ახლა, როცა ორმოცდაათი წელი შესრულდა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან, მკითხველებისათვის საინტერესო იქნება გავიხსენოთ ბელადთან გამოთხოვების დღეები. ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი მასალები ჩვენს წინაშე ნათლად გააცოცხლებს იმ სურათს, თუ ყველა მშრომელთან ერთად, მთელი საქართველო, საქართველოს დედაქალაქი თბილისი როგორ გამოეთხოვა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს — უკვდავ ვ. ი. ლენინს.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1924 ᲬᲔᲚᲘ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ზამთრის დილაა.

სამუშაო დღე დაიწყო.

უინავს. დაცარიელებულ ქუჩებში კანტიკუნტად თუ ჩაივლის მგზავრი. გამეფებულ მდუმარებას დროდადრო ეტლის თქარათქური არღვევს.

მოულოდნელად ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა მოსკოვიდან ახლადმიღებული თავზარდამცემი ცნობა.

ჰაერი თითქოს დამძიმდა. ცხოვრების რიტმული მაჯისცემა დაირღვა. შემაძრწუნებელმა ამბავმა ზამბარასავით დაძაბა ელდით გაოგნებული თბილისი.

ქუჩებში გაზეთები გამოიტანეს.

გაზეთში გამოქვეყნებული შავ ჩარჩოში ჩასმული განცხადება ღაღადებს:

„ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი აუწყებენ ყველა მუშას, გლეხს და მშრომელთ, რომ 1924 წლის იანვრის 21-ს, საღამოს 6 ს. 50 წ. გორკაში (მოსკოვის ახლოს) გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და ხელმძღვანელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი)".

* * *

სათუთად ვფურცლავთ ნახევარსაუკუნოვან ჟურნალ-გაზეთებს და ჩვენს თვალწინ ნათლად ცოცხლდება გარდასულ დღეთა ამბები.

საქართველო ძაძებშია მოსილი.

ქალაქებსა და სოფლებში სტიქიურად იმართება დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგები.

ამ მწუხარების ჟამს, როგორც ყოველთვის, ქართველი ხალხის თვალი და ყური თბილისისაკენ არის მოპყრობილი. სწორედ აქ, საქართველოს ამ დედაგულში იყრის თავს და ერთიანდება მთელი ერის გოდება და უსაზღვრო წუხილი.

თბილისში უწყვეტ ნაკადად ჩამოდიან დელეგაციები. მოდიან აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ახლომახლო რაიონებიდან დედაქალაქისაკენ მოეშურებიან თვალცრემლიანი გლეხები, რომლებსაც ფიცლები, თოხები, ნამგლები, ბარები გაუდვიათ მხრებზე.



სამგლოვიარო დღეები.

სახალხო გლოვა თანდათან ღვივდება და უფრო და უფრო ფართო მასშტაბს იღებს.

აი რამდენიმე ამონაწერი იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან.

„...ტფილისის ყოველი მხრიდან მოაწყდა ხალხი. მგლოვიარე ტფილისი გარდაიქმნა, ფერი იცვალა, მწუხარე სამოსით მოირთო"...

„...ხალხი სახლში აღარ იცდის. მოედნებზე იმართება საჩქარო მიტინგები. ქალაქს მოეფინენ წითელი დროშები თალხით. საქართველოს მთავრობა მიმართავს ხალხს სამგლოვიარო მოწოდებებით"...

„...ტრამვაის ვაგონები, ავტომობილები და ეტლები დაფერიადებენ შავწითელ დროშებს და ამ დროს ქუჩა ჰგავს მწუხარე ხმით აშრიალებულ ტყეს"...

„...მთელმა ქალაქმა იცის პლანეტის მწუხარება. ქუჩები ჩაბნელებულია. დაკეტილია თეატრი, ყველა გასართობი. ქუჩებში დადიან ახალგაზრდები. ავრცელებენ ცნობებს ლენინის შესახებ"...

გლოვის დღეებში თბილისში, საოპერო თეატრის შენობაში გაიმართა ქალაქის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა. შემდეგ სამგლოვიარო სხდომები ზედიზედ იმართება რუსთაველის თეატრში, თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, წარმოება-დაწესებულებებში.

სამგლოვიარო სხდომების მონაწილეები ფიცს სდებენ, რომ სიკვდილამდე ლენინიზმის ერთგულნი იქნებიან, რომ მთელ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას დიდი ბელადის იდეების გამარჯვებას მოახმარებენ.

აი რას წერდნენ ქართველი სტუდენტები:

„მოვისმინეთ რა მოხსენებები ჩვენი ძვირფასი მასწავლებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიჩ ლენინის გარდაცვალების გამო, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსკომები, სტიპენდიანტები და უპარტიო სტუდენტების გაერთიანებული კრება მუხლს იდრეკს დიდი ბელ-დის ცხედრის წინაშე და ფიცს სდებს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არ უღალატოს და დაიცვას ის იდეა და ის მონაპოვარი, რომელსაც კუბოს კარამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახურებოდა მსოფლიო მუშათა კლასის სული და ტვინი ამხ. ლენინი".

პარასკევს, 25 იანვარს, დღის პირველ საათზე საქართველოს ცენტრალური

თბილისის ქუჩებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასკომის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლევან ღოღობერიძეს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად ეწვივნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და საქართველოს ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგატები.

„პროფესორთა საბჭოს დელეგაციას წინ უძღოდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, — წერდა ჟურნალი „დროშა“. — დელეგაციაში შედიოდნენ დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დ. უზნაძე, კ. კეკელიძე და სხვები. ხელოვნების ორგანიზაციათა დელეგაციაში შედიოდნენ ხელოვანთა მთავარი კომიტეტისა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, ვასილ ბარნოვი, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნინო ნაკაშიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, ალ. ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე“...

* * *

ვ. ი. ლენინის დაკრძალვა კვირას, 27 იანვარს დაინიშნა.

„ამხანაგ ლენინის გასვენებაზე დასასწრებად ტფილისის მუშებიდან მოსკოვში გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიც შედიან შემდეგი ამხანაგები: 1. ლადო დუმბაძე, 2. სილვა თოდრია, 3. არაქელა ოქუაშვილი, 4. მიხა ჩოდრიშვილი, 5. ვანო ბოლქვაძე. დელეგაცია მიემგზავრება ჰაეროპლანით“, — იუწყებოდა გაზეთი „მუშა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და კომპარტიის თბილისის კომიტეტთან შეიქმნა ცენტრალური კომისია. ამ კომისიას, სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასთან ერთად, ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ბელადის დაკრძალვის დღეს თბილისში გამართულ სამგლოვიარო დემონსტრაციისათვის.

ქალაქის სამგლოვიაროდ მორთვა კოტე მარჯანიშვილს დაევალა.

* * *

1924 წლის № 27-ში ჟურნალი „დროშა“ წერდა:

„მოკლე ხანში მოედნიდან ოპერის თეატრამდე ქუჩა გადაქცეულია ერთ დათალხულ შენობად. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ლენინი მოსკოვში კი არა, თბილისში უნდა დაასაფლაონ“.

და მართლაც, დამსწრეთა გადმოცემით, იანვრის იმ სამგლოვიარო დღეებში, დათალხული თბილისი რაღაც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა.

ძაძებით მოსილი ქუჩები, დროშები, პლაკატები, ცოცხალი ყვავილების თაიგულები... ვიტრინებში, სახლების ფანჯრებში, აივნებზე შავ-წითელ არშიამოვლებული ვ. ი. ლენინის სურათებია გამოფენილი. დღევანდელი პიონერთა სასახლის სვეტები, შესასვლელი, ფანჯრები შავი მანტიით დაუბურავთ.

ცენტრალურ შესასვლელთან დაფნით, სუროთი და მწვანე რტოებით გარშემორტყმული ვ. ი. ლენინის სურათია გამოფენილი.

სურათთან დღე და ღამე დგას საპატიო ყარაული.

ლენინის მოედანი, რომელსაც იმჟამად თავისუფლების მოედანი ერქვა, შავი სვეტებით დაუფარავთ. მოედნის შუაში უზარმაზარი თაღია აღმართული. თაღზე ძაძებით მოსილი ვ. ი. ლენინის სურათი და ელვარე ვარსკვლავი დაუმაგრებიათ.

ყველა უბანს, ყველა კუთხეს, ყველა დეტალს ატყვია დიდი რეჟისორის — კოტე მარჯანიშვილის დაუშრეტელი ფანტაზია, დახვეწილი გემოვნება და ოქროს ხელი.

* * *

მოდით, სიტყვა ახლა იმ გლოვის დღეთა უშუალო მონაწილეებს დავუთმოთ და კიდევ რამდენიმე ამონაწერი მოვიტანოთ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული უამრავი მასალებიდან.

„26 იანვარს დღის 12 საათზე ქარხნების საყვირებმა ამცნეს ქალაქს მუშაობის შეწყვეტა. ერთბაშად დაიკეტა ყველა მაღაზია და შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში. ხალხი ქუჩებზეა გამოფენილი, წითელი დროშები შავ არშიებშია ჩასმული. ქუჩებზე მიდი-მოდიან მუშები ჯგუფ-ჯგუფად, დახრილი დროშებით და დაღვრემილი სახეებით.

საღამოს მუშები თავს იყრიან თავიანთ რაიონებში და იქიდან ჩირაღდნებით ხელში მოეშურებიან რუსთაველის პროსპექტით სასახლისაკენ. ბნელი ღამით მოცულ ქუჩებში ანთებული ჩირაღდნების ეს დაუსრულებელი დენა ზღაპრულ ფეიერვერკს ჰგავს“...

„27-ში პირშეკრული დილა გათენდა. თითქოს ბუნებასაც უგრძვნია ილიჩთან უკანასკნელი გამოთხოვების უდიდესი ტანჯვა და მწუხარებით გამოიყურება. მიუხედავად სიცივისა, დილიდანვე უამრავი ხალხი აწყდება ქუჩებს. 11 საათზე ცეკას წინ მწკრივდებიან სხვადასხვა წარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები და წითელარმიელთა ნაწილები. აქ არიან გლეხთა მრავალრიცხოვანი დელეგაციებიც. გლეხები ჩამოსული არიან ცელებით, ნამგლებით, ნაჯახებით. წაკითხული იქნა ლენინის მეუღლისა და მეგობრის კრუპსკაიას სიტყვა, მოსკოვიდან დეპეშით მიღებული.

ახლოვდება 4 საათი. ცა უფრო იღუშება. 3 საათზე პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტიდან თავისუფლების მოედნისაკენ. აქაა დიდი თაღი. აქვეა აშენებული ტრიბუნა, ზარბაზნები ისროლეს მამადავითსა და არსენალის კალთებზე. სასახლის ქუჩიდან მუშტაიდამდის გაისმის სამგლოვიარო მუსიკის გოდება. მთელი ხალხი ქუდს იხდის“‘‘...



დიდი ლენინის სურათთან.

„...აჰა, შესრულდა ოთხი საათი. დაიწყო ზარბაზნებმა გრიალი. ქარხნებისა და ფაბრიკების საყვირებმა და ორთქლმავლებმა გულშემზარავი ტირილ-კივილი ატეხეს. ეს იყო საშინელი წუთები, როცა უნდა დაეკრძალათ ძვირფასი მასწავლებელი. ტფილისში შეწყდა ხუთი წუთით მოძრაობა. ყველა ერთ წერტილზე გაიყინა, გაქვავდა და ეს მომენტი იმდენად მწარე იყო, რომ მშრომელი ხალხი ცხარე ცრემლებს ღვრიდა“...

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, აი ასე იგლოვა თბილისმა და მთელმა ქართველმა ხალხმა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, უკვდავი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.




ლენინის დაკრძალვაზე საქართველოდან გაგზავნილი გვირგვინები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა 1974

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | ორ. |
| სმ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | სმ. |
| ოთ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | ოთ. |
| ხთ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | ხთ. |
| პრ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | პრ. |
| შბ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | შბ. |
| კვ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | კვ. |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | ორ. |
| სმ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | სმ. |
| ოთ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | ოთ. |
| ხთ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | ხთ. |
| პრ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | პრ. |
| შბ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | შბ. |
| კვ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | კვ. |

| დღეებისა და საათების რაოდენობა | იანვარი | თებერვალი | მარტი | I კვარტ. | აპრილი | მაისი | ივნისი | II კვარტ. | წ. I ნახ. | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | III კვარტ. | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | IV კვარტ. | წ. II ნახ. | სულ წლისათვის |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კალენდარული | 31 | 28 | 31 | 90 | 30 | 31 | 30 | 91 | 181 | 31 | 31 | 30 | 92 | 31 | 30 | 31 | 92 | 184 | 365 |
| სამუშაო | 26 | 24 | 25 | 75 | 26 | 24 | 25 | 75 | 150 | 27 | 27 | 25 | 79 | 27 | 24 | 25 | 76 | 155 | 305 |
| კვირა და სადღესასწ. | 5 | 4 | 6 | 15 | 4 | 7 | 5 | 16 | 31 | 4 | 4 | 5 | 13 | 4 | 6 | 6 | 16 | 29 | 60 |
| 7-საათ. სამ. დღე (საათ.) | 178 | 164 | 169 | 511 | 177 | 163 | 170 | 510 | 1021 | 185 | 184 | 171 | 540 | 185 | 162 | 169 | 516 | 1056 | 2077 |

# სიხარული დაგებედით

## ნიკო კეცხოველი,

აკადემიკოსი

ძველად, ახალ წელს, შემხვდური შემხვედრს ყოველივე კარგსა და კეთილს უსურვებდა, მაგრამ პირველ რიგში იმის კვალობაზე, რით და რად იყო იგი უფრო სახელოვანი. გუთნისდედას უსურვებდნენ მოდგმის ძლიერებას და მის გუთანს სამოცდაექვსჯერ შემოევლო კვალი; მომკელს — ისეთი ხელეური მოგეჭრას, ძნა შეიკვრებოდესო; მეზვრეს — შენ ვაზს ისეთი მტევანი დაესხას, გოდრის პირს არ ეტეოდესო; მწყემსს — გაგიმრავლდეს ბატკანი, როგორც ირმის ნახტომზე ვარსკვლავიო; მჭედელს — იმდენი სახნისი, საკვეთი, ნამგალი და ბარი გამოგეკვეროს, რამდენიც დილის ამომავალ მზეს სხივი აქვსო; ოჯახის უფროსი შინ რომ ფეხს შედგამდა, პირველად ამას იტყოდა:

— ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და ლხინის სუფრასა, ვაჟების ქორწინობასა, ქალების გასტუმრებასა... ჩვენი დედის კალთაში ოქროსქოჩრიან ბიჭებსა, თვალუუუუნა გოგოებსა, მეხრეს და მეკალოესა, მწყემსსა და მეურმესა, მეზვრეს და გუთნისდედასა, მომავლის იმედსა და ოჯახის ბურჯსა, მოხუცსა პირნათლიანსა, სიტყვამჭევრ იმედიანსა...

და ამაზე კარგს რას მოიგონებ! სწორედ ამიტომ მეც მინდა ჩემს ხალხს ყოველივე სიკეთე ვუსურვო იმავე სიტყვებით — დღევანდელი გაგებით, რასაც ძველად ჩვენი ხალხი ერთმანეთს უსურვებდა, ყოველთვის კეთილს, ყოველთვის ლამაზსა და იმედიანს, გამარჯვების სურვილით სავსეს, საითაც არ უნდა წასულიყო.

მეც მინდა ჩვენს ერს ვუსურვო აეგოს ისეთი სასახლე, გაეკეთებინოს ისეთი ქანდაკებანი, დაეხატოს ისეთი სურათები, შეექმნას ისეთი სიმფონიები და ოპერები, დაეწეროს რომანები, პოემები, სამეცნიერო შრომები, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე იბრწყინებენ ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანი", ჯვარი და გელათი.

მაგრამ თქნაც ვიცი, ყოველივე ეს არ მოხდება, თუ ზოგი ისეთი ჩვენთვის უცხო თვისება, რომელიც უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩაეთესლა ზოგიერთის ხასიათში, ძირფესვიანად არ ამოიფხვრა, ამოიშანთა და ამოიწვა, დაგვეწვება, მაგრამ ნატკივარი მორჩება,

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომელი ხალხის შვილი ვართ, ჩვენი საკუთარი შრომით და ოფლით რას შევძენთ საკუთარ ხალხს. ვაი იმ ხალხს, რომლის შვილი დაივიწყებს, თუ ვისი შვილია იგი. ყოველდღიურად უნდა შეიტანო შენი წვლილი შენი ერის სალაროში, დიდია თუ მცირე შენი ნაღვაწი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, საქმე ისაა, ის გააკეთო, რაც შეგიძლია — სასარგებლო და სასიკეთო.

მაშ გაგიმარჯოთ და ნურასდროს „ნუ მოიშლება ამ სახლში ლხინი და ლხინის სუფრა!"

## თინა ჭანტურია,

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით შრომობენ მეცხრე ხუთწლედში მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად, — წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს: ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი რაიონის მოწინავე მეჩაიეებს, მექანიზატორებს, მესიმინდეებსა და მეცხოველეებს.

პირადად მე ყოველწლიურად სარეკორდო მოსავალი მომყავს წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაპიროვნებული ჩაის პლანტაციიდან. მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მთელი მონდომებით ვიშრომეთ რაიონის მეჩაიეებმა და გადაჭარბებით შევასრულეთ საგეგმო დავალება. გამარჯვებული გამოვედი რაიონის მეჩაიეებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მოვკრიფე 15 ტონა და 676 კილოგრამი ჩაი.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა ჩემი შრომა და მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მე ბევრი მწარე დღეები მინახავს, მამა ადრე დაგვეღუპა სამამულო ომის ფრონტზე, ხუთი შვილის მოვლა-პატრონობა დედამ იკისრა და ყველა შრომისა და გარჯის გზაზე დაგვაყენა. დიახ, მწუხარებაც ბევრი მინახავს და სიხარულიც, მაგრამ ვერაფერი შეედრება იმ სიხარულს, რომელიც განვიცადე მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ პირადად გადმომცა სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი და ლენინის ორდენი.

1974 წელსაც ენერგიის დაუზოგავად ვიშრომებ საკოლმეურნეო მინდვრებზე და ჩემს წვლილს შევიტან ხუთწლედის გეგმების შესრულების საქმეში.

მინდა ჟურნალ „დროშის" მეშვეობით მივულოცო რესპუბლიკის მშრომელებს ახალი, 1974 წელი.

დაე ეს ახალი წელი ახალი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყოს თქვენთვის!

## არჩილ ქამაშვილი,

მეტალურგი.

1944 წელი იდგა. დიდი სამამულო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. 18 წლის ჭაბუკი უკრაინაში, ქალაქ სტალინოში გავემგზავრე. რუსთავში მაშინ მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა და სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მეტალურგის პროფესიას უნდა დავუფლებოდი.

სტალინოში რამდენიმე წელი დავრჩი. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ უკრაინელი მეგობრების დახმარებით წარმატებით ავითვისე მეტალურგის რთული პროფესია და საქართველოში კარგად მომზადებული დავბრუნდი.

მალე ბრიგადირად დამაწინაურეს. მონაწილეობა მივიღე პირველი ქართული თუჯის გამოდნობაში. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება.

წლების მანძილზე თავდადებული შრომა დამიფასდა. უბრალო, მარტყოფელი ბიჭი დღეს ხალხისაგან დაფასებული ადამიანი ვარ. ორჯერ ამირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მონაწილეობა მივიღე საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXI ყრილობის მუშაობაში.

ჩემთვის განსაკუთრებით ღირსსახსოვარია 1960 წელი. ამ წელს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში კომუნისტური შრომის ბრიგადების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. რჩეულთა შორის საქართველოდან ორი დელეგატი წარსდგა: ჭიათურელი მაღაროელი შოთა კუბლაშვილი და მე. თათბირზე სიტყვით გამოვედი. შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა.

ახალ წელს მოგილოცავთ, მეგობრებო. დაე ეს წელი ახალი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი წელი იყოს. დაე ჩვენმა თავდადებულმა შრომამ უფრო ააყვავოს სოციალისტური სამშობლო, უფრო საამური და გასხივოსნებული გახდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრება.

## პავლე ქობახიძე,

პენსიონერი.

გუშინდელი დღესავით მახსოვს ჩემი ახალგაზრდობა.

სოფლიდან ქალაქში ჩამოვედი. ხელობა მინდოდა შემესწავლა. ღარიბ-ღატაკი გლეხის შვილი ვიყავი და ერთი ლუკმა პურის საშოვნელად ათასი ტანჯვა და დამცირება გამოვიარე.

ახლა 100 წლისა ვარ. სასახელო შვილები გავზარდე. შვილიშვილები და შვილიშვილთა შვილები მახვევია გარშემო. პენსიაზე გავედი. ვზივარ და ჩემს ნაშიერს ზღაპარივით ვუყვები. ძველი დუხჭირი ცხოვრების ამბებს.

თითქმის 90 წელია თბილისში ვცხოვრობ. ამ ქალაქს შევეზარდე, შევესისხლხორცე, მისი ყოველი წინსვლისა და აღორძინების მომსწრე ვარ. დავდივარ საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში, გული ლხენით მევსება. შევცქერი ცამდე აწვდილ სახლებს, განიერ პროსპექტებს, ამწვანებულ ქუჩებს, ხალხს, ჩემს ხალხს — ბედნიერსა და პირმცინარე ხალხს და სამადლობელს ვჩურჩულებ.

იხარეთ, შვილებო! კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეძელით! გულით დამილოცნიხართ. ახალი, 1974 წელი, გამარჯვებების წელი იყოს თქვენთვის!

ჩემი ხნისა მოიყარენით, შვილებო, ჩემი ხნისა!

## ივანე ფიროსმანაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი

სოფლის მეურნეობის მუშაკები პრაქტიკული ადამიანები ვართ, და ნუ გაგიკვირდებათ, თუ თავიდანვე ციფრების ენას მოვიშველიებ.

მარცვლეულიდან დავიწყოთ. წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში 2 485 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწები გვაქვს. ხუთწლედის მესამე წელს ჩვენ 29 800 ცენტნერი მარცვლეული უნდა გვეწარმოებინა, ფაქტიურად კი 57 610 ცენტნერი ვაწარმოეთ. ჰექტარზე საშუალოდ 36,1 ცენტნერი მარცვლეული მივიღეთ. ეს ციფრი სარეკორდო მაჩვენებელია მთელს რაიონში.

მზესუმზირა 4 990 ცენტნერის ნაცვლად ვაწარმოეთ 7 290 ცენტნერი. ასევე წარმატებით შევასრულეთ ხორცისა და რძის წარმოების გეგმები.

მეცხოველეობის დარგში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის ჩვენს კოლმეურნეობას საზეიმო ვითარებაში გადაეცა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროფკავშირების სამახსოვრო დროშა. საჩუქრად გადმოგვცეს აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანა.

ახალი წლის ფეხბედნიერად მობრძანებას გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულეებო!

# მომავლის ქალაქი



ზურაბ ნემსაძე (მარცხნიდან მეორე) და მისი ბრიგადის წევრები.

გაუცდებით ქვეშის ციხეს, — ვაკე თანდათან დავიწროვდება. მალე მანქანა მარცხნივ გადაუხვევს. უკან დარჩება ვენახები, გადავალთ ხიდზე და მაშავერასა და კაზრეთულას შესართავთან ახალი ქალაქის — მადნეულის საზღვრები დაიწყება.

ეს მიდამოები კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. ახლოს სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი ტანძიაა. მიწა ქართველი მხედრების სისხლითაა მორწყული. აქაური იყო ვასილ ბარნოვისა და მიხეილ ჯავახიშვილის ბევრი გმირი.

ამ ადგილებზე წერდა ვახუშტი ბატონიშვილი: „დბანისს ქუეით არს ჩრდილოთ კერძ ხინწის ხევი. მას ქუეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონა რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქუეით სამხრიდან მაშავერს ერთვის ბალიჭის ხევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოქის კერძოდ ვითარცა დბანის ხევი, მას ქუეით ერთვის გეტის ხევი და ქუეშის ხევი, გამოსდის ლოკუნს, ერთვის ჩრდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა. ქუეშის ციხე არს კლდესა ზედა მდგომი, მაგითა და თუალთათვს მშუენი, წყარო კეთილი. მას ქვემოთ ხეობა კაზრეთისა, სამხრიდამ მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთივე, ვითარცა ხეობა ბალიჭისა“.

დღეს ამ ადგილებში დიდი სამუშაოებია გაჩაღებული. გაივლის რამდენიმე წელი და ახალი სამრეწველო ქალაქი გაჩნდება საქართველოს რუკაზე. მომავლის დიდ ქალაქს დღეს ეყრება საფუძველი.

როგორც ყველა ქალაქის, ისე მადნეულის დაარსებასაც აქვს თავისი მიზეზი. ეს მიზეზი ფერადი ლითონების საბადოებია. გეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს სპილენძის უმდიდრესი მარაგი, რომელიც საუკეთესო შემადგენლობისაა და ადვილად მუშავდება. ლოქის მთის განშტოებაზე ე. წ. „ზურაბ ნაბაქრევზე“ უკვე რამდენიმე წელია ღია კარიერული წესით ხდება ძვირფასი მადნის მოპოვება.



სამთო უბანი.

განუწყვეტლივ გაისმის ექსკავატორის ხმა. „ბელაზების“ ავტოკოლონა დაუსრულებელ ნაკადად მიედინება კარიერისაკენ.

კარიერის მთავარ ინჟინერს ილია ქუქუნაშვილს მოწინავეთა გვარების დასახელება რომ ვთხოვეთ, დაუფიქრებლად გაიშვირა ხელი ძაბვის გამთიშველისკენ:

— თუ ძმა ხარ, ელექტრიკოსები, აი ის ძველი მეგობრები არ გამომიტოვოთ.

გამთიშველთან ორი კაცი ტრიალებდა. ერთი კაბელს მოათრევდა, მეორე სადენებს ამაგრებდა.

ალექსანდრე კაპანაძემ და ვანო ახლანიშვილმა თურმე აქ გაიცნეს ერთმანეთი.



ფოტო ანზორ გოგოლაძისა.

ალექსანდრე სამოცი წლისაა. მისი ვაჟიშვილი თენგიზი გარაჟის უფროსი მექანიკოსია, ქალიშვილები ბოლნისის ბიბლიოთეკაში მუშაობენ.

ვანო ახლანიშვილს სამი შვილი ჰყავს და სამივე თბილისში — უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

მეგობრები ჩვეულებრივი მუშაკაცები არიან. თავიანთი სპეციალობა და შრომა უყვართ.

ალექსანდრეს და ვანოს დამეგობრება შემთხვევითი არ ყოფილა.

მადნეულში, კარიერზე რომ მოვიდნენ სამუშაოდ, უკვე იმ ასაკში იყვნენ, როცა ადამიანს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი, საკმაოდ ბევრი ადამიანი შეხვედრია გზაზე, ზოგს დაახლოებია და ზოგსაც უკვალოდ ჩაუვლია. უსაქმურობის გამო არ დაახლოებულან. მათ მეგობრობას საერთო სიძნელეები უდევს საფუძვლად. როდესაც იქ, ტყეში კარიერზე ხარ, როდესაც ცივა, ყინავს, წვიმს, ფეხი მუხლამდე იფლობა ტალახში და შენს სიმარჯვეზეა დამოკიდებული საერთო საქმე, აგრეთვე სხვების სიმარჯვეზეა დამოკიდებული შენი მდგომარეობა, მაშინ მეგობრობასაც სხვა ფასი ეძლევა. საკმარისია ოდნავ გიმტყუნოს ამ გრძნობამ, ოდნავ მოადუნო ყურადღება, რომ მაშინვე ხუხულასავით დაინგრევა ის მართლაცდა ხელიხელ საგოგმანებელი უძვირფასესი ურთიერთობა, კოლექტივის ერთსულოვნება რომ ეწოდება.

პატარა დაუოვნება, ოდნავი გულგრილობა, შეფერხება მარტო საკუთარი თავის მიმართ უპატივცემულობა კი არ არის, ეს უპატივცემულობაა შენი ამხანაგისადმი. გულგრილობაა შენი ამხანაგის ოჯახისადმი. რაიმე განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ყოველდღე არ ხდება, მაგრამ შენს შრომაზე



მოწინავე მძღოლი შოთა ჭანკვეტაძე.

# ლიხაურის ბერმუხა

ლადო სულაბერიძე

ფოტო გ. ხეირანიანისა.



## ბერმუხა

მახარაძის რაიონში არის ერთი მშვენიერი სოფელი ლიხაური. ლიხაური ძველთაძველი სოფელია. ამას მაღალ გორაზე შემორჩენილი ციხის ნანგრევები მეტყველებს. სოფლის ცენტრში, ფართო მოედანზე აღმართული ხუთასწლიანი ბერმუხა კი ცოცხალი მოწმეა ამ სოფლის სახელოვანი წარსულისა. გადმოცემის მიხედვით, ეს ბერმუხა ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებული გურული გლეხების ტრიბუნა ყოფილა. ამ მუხის გარშემო თავმოყრილი გლეხებისათვის მგზნებარე სიტყვით ბევრჯერ მიუმართავს ამ აჯანყების მეთაურს აბესა ბოლქვაძეს. ეს ამბები აქვს აღწერილი ეგნატე ნინოშვილს ისტორიულ რომანში — „ჯანყი გურიაში“.

ისევ ამაყად დგას ბერმუხა. ფართოდ გაუშლია ახოვანი რტოები. მის ჩრდილში საღამო ხანს ახლაც იყრიან ხოლმე თავს ლიხაურის ახალგაზრდები და მოხუცები. ახალგაზრდები ყურს უგდებენ მოხუცების ბრძნულსა და გონებამახვილურ საუბარს, მოხუცები კი სიამოვნებით შესცქერიან ახალგაზრდების მხიარულ ტაშ-ფანდურს, უსმენენ მათ [illegible]ლერებს.

ბარაქიან შემოდგომას წელსაც უხვად დაუბერტყავს თავისი კალთა ლიხაურის ულამაზესი მთების ფერდობებსა და ველ-მინდვრებზე. ლიხაურელებისთვის ახლა არ არსებობს დასვენების დღეები — შაბათი და კვირა. მზიანი ამინდი თუა, ხომ კარგი, მაგრამ თუ წვიმს, არც ეს აჩერებთ შინ გამრჯე გლეხებს, მთელი წლის ნაჯაფარ მოსავალს აღება და დაბინავება უნდა.

ქართველი მწერლების ჯგუფი სწორედ ერთ ამგვარ დაძაბულ შაბათ დღეს ესტუმრა ლიხაურელებს.

## მოსწავლეების პირობა

პირველად ლიხაურის საშუალო სკოლის კარები შევაღეთ. ეს სკოლა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ამ სოფლის მკვიდრის — ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს. სკოლას ასი წლის ისტორია აქვს, — დიდებულ შენობაშია მოთავსებული. ერთი დიდი ოთახი ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმისთვის დაუთმიათ. მოსწავლეები და პედაგოგები თვალისჩინივით უფრთხილდებიან და სიყვარულით უვლიან მუზეუმს. ამ ოთახში გამოფენილია სახელოვანი მეცნიერისა და საამაყო თანასოფლელის ცხოვრების ამსახველი ექსპონატები — ფოტოები, ხელნაწერები, წიგნები. ეს ოთახი წმიდათაწმიდა ადგილია სკოლაში და მოსწავლეები სიამაყით ივსებიან, როცა ამ ოთახის კარს მოკრძალებით ჩაუვლიან.

ბოლო გაკვეთილის ზარი დაირეკა და მოსწავლეები მაშინვე დიდ დარბაზში შეიკრიბნენ. მასწავლებლებს უკვე უცნობებიათ მათთვის, ქართველი პოეტები გვესტუმრნენო.

სკოლის დირექტორმა რუბენ ბერძენიშვილმა მოსწავლეებს სტუმრები გააცნო. მოსწავლეები მხურვალე სიტყვებით მიესალმნენ მწერლებს, ჩინებულად წაიკითხეს მათი ლექსები. დიდი ინტერესით მოუსმინეს ქართველი პოეტების სიტყვებსა და ლექსებს...

ქართველმა მწერლებმა მოუწოდეს მოსწავლეებს — ოქტომბრელებს, პიონერებსა და კომკავშირელებს, რომ რუსული ენა — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ენა და მშობლიური ქართული ენა მხოლოდ „ხუთზე“ და „ოთხზე“ ისწავლონ. არც ერთი „ორიანი“ და „სამიანი“ ამ ენებში! მოსწავლეებმა ერთსულოვნად, აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

ვფიქრობთ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ლიხაურის საშუალო სკოლის პიონერები და კომკავშირელები პირნათლად შეასრულებენ პირობას



ექვთიმე თაყაიშვილის სახ. სკოლა.

## ციფრები

ლიხაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბროსი გორდელაძე კანტორაში დამხვდა. იმ დროს მივედი, როცა მას მახარაძის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და მახარაძის სიმღერისა და ცეკვის მინიატურული ანსამბლის — „იადონის“ მხატვრული ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სალუქვაძე ესაუბრებოდა მორიგი კონცერტის გამართვის თაობაზე ლიხაურის კულტურის სახლში. გიორგის ლამაზად გაფორმებული აფიშა გაეშალა და თავმჯდომარე და თვითონ აფიშას დასცქეროდნენ.

მომესალმნენ. ვთხოვე საუბარი გაეგრძელებინათ. მალევე შეთანხმდნენ, გიორგი დაგვემშვიდობა და ამბროსის კოლმეურნეობის შესახებ გამოვესაუბრე. ამბროსი გორდელაძე სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკია. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ მახარაძის რაიონში სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა. 1953 წლიდან კი ლიხაურის კოლმეურნეობის უცვლელი თავმჯდომარეა და დღემდე არ ყოფილა წელი, რომ კოლმეურნეობას გეგმები არ შეესრულებინოს. ამბროსი რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომია, დაჯილდოებულია ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

კოლმეურნეობის საერთო წარმატების გამოსახატავად ავიღებ 1972 წლის ზოგიერთ ციფრს: ჩაი — 1 318 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 1 542 ტონა, სიმინდი — 200 ტონის ნაცვლად — 260 ტონა, ციტრუსები — 93 ტონის ნაცვლად — 106 ტონა. სახელმწიფოს მიჰყიდეს: რძე — 124 ტონის ნაცვლად — 142 ტონა, ხორცი — 16,5 ტონის ნაცვლად — 20 ტონა. კოლმეურნეობამ ფულადი შემოსავალი — 1 მილიონ 159 ათასი მანეთის ნაცვლად მიიღო 1 მილიონ 279 300 მანეთი.

ამ წარმატებებში მრავალმა კოლმეურნემ ისახელა თავი და გასამრჯელოც ბარაქიანად მიიღეს. მაგალითად, მექანიზატორმა ზურაბ ურუშაძემ გამომუშავებით მიიღო 4 200 მანეთი, პრემიის სახით

მარტო შენი შემოსავალი კი არ არის დამოკიდებული, დამოკიდებულია შენი მეგობრის გამომუშავებაც, მისი ოჯახის კეთილდღეობაც. მეექსკავატორეები: ნიკოლოზ კარსლიევი, ბორის ნაუმენკო და მიხეილ კაპანაძე, მძღოლები: შოთა ჰაკვეტაძე, ერიკ ხაჩატუროვი და ვლადიმერ ფადეევი, ბულდოზერისტი ვაქილ ფაშაევი, მბურღავი შოთა გოგოლაძე და ბრიგადირი ზურაბ ნემსაძე ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის მიმართ იყვნენ პრინციპულნი, პირნათელნი და ერთმანეთი ღვიძლ ძმასავით უყვარდეთ. მათი საქმიანობა, მათი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ხომ აქ, ამ აფერადებულ მიდამოებში მიმდინარეობს.

აქ, ლოქის მთის კალთებზე, ჯერჯერობით არავითარ კომფორტზე არ შეიძლება ლაპარაკი. მთელი დღე ღია ცის ქვეშ დგახარ და ამინდის ჭირვეულობას სხვა სიძნელეებიც ემატება. სულაც არ არის ადვილი მაღალი ძაბვის ქვეშ მუშაობა. ეს იგივეა, რაც დანაღმული ველის განმუხტვა. დროზე უნდა გადაიტანო მაღალი ძაბვის გამთიშველი მითითებულ ადგილზე, დროზე უნდა მოათრიო კაბელი. შემდეგ მაღლა უნდა აძვრე და გამტარი მიაერთო. არც აქ შეიძლება დროის დაყოვნება. მერე კაბელი კვლავ უნდა გადაიტანო და ექსკავატორს მიაერთო. მეექსკავატორე შენ გიცდის. მას მძღოლი უცდის, ხოლო მძღოლს დაბლა სატვირთო ვაგონები ელოდება. თუ ეს ყველაფერი შეუფერხებლად მოხდა, თითქოსდა არცა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს გარეშე მოწმეს. აბა წარმოვიდგინოთ, ოდნავი დაზიანება! როდესაც ძაბვის მოწოდება შეწყვეტილია, მაშინ მდგომარეობა იცვლება. მაშინ ყველა ნერვიულობს, არავის სურს უქმად დგომა ტყეში, მოტიტვლებულ კარიერზე, რომელსაც ეგზოტიკური ელფერი მხოლოდ ტურისტისათვის შეიძლება ჰქონდეს, — არავის სურს ტყუილად აძრებოდეს ხელ-ფეხი და ცხვირ-პირი უწითლდებოდეს ყინვისგან. ნერვიულობს კარიერის უფროსი (გეგმის შესრულებას მას პერსონალურად სთხოვენ), ნერვიულობს მეექსკავატორე, მძღოლი, ყველა კარიერზე მომუშავე ას ორმოცი ადამიანი, ვინაიდან ელექტროენერგიაზე დამოკიდებულია გეგმა, გამომუშავება, პრემია... დამოკიდებულია ამოღებული სპილენძის მადნის რაოდენობა.

ქვევით კი კაზრეთულასა და მაშავერას შესართავთან, პატარა ქალაქი ფრთებსა შლის. ამ ქალაქის გაზრდა, ახალი სამრეწველო საწარმოების აგება ძირითადად კარიერზე მოპოვებული მადნის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

პატარა დასახლებაში უკვე მოჩანს მომავალი დიდი სამრეწველო ქალაქის კონტურები.

გარდა სამთო უბნისა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი აერთიანებს საცდელ-გამამდიდრებელ ფაბრიკას და სილიკატურ საამქროს. კომბინატი აშენებს აგრეთვე ახალ წყალსადენს, წყალი დმანისის რაიონიდან, საყაფლანოდან გამოჰყავთ.

ყველას უყვარს ჯიმშერ ფრუიძე — შესანიშნავი ეკონომისტი, მთელი დღე დაგეგმვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, თვითღირებულების შემცირების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს რომ ამუშავებს. მან ზეპირად იცის მადნე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა სპეციალისტები.

ქიმიურ-ანალიზურ ლაბორატორიაში. ტატიანა სემილეტოვა (მარცხნივ) და მარინე მალაშხია.



ელექტროშედუღება.



კი — 1 300 მანეთი, ამირან ტოროტაძემ მოკრიფა 14 ტონა ჩაი და მარტო პრემიის სახით მიიღო 1 500 მანეთი...

## ამირან ტოროტაძე.

ეს სახელი ლიხაურელების საამაყო სახელია. ამირანი სოფელში არ დამხვდა, თბილისში წასულიყო, ტელესტუდიაში მიუწვევიათ, მისი სახელი უკვე რესპუბლიკას გასწვდა. ვისაც კი გავესაუბრე — დიდსა თუ პატარას, ყველამ დიდი სიყვარულით მიამბო მასზე.

ამირან ტოროტაძე თავის ვაჟიშვილთან.



ჩვენ ბევრი სახელოვანი ჩაის მკრეფავი ქალი გვყავს რესპუბლიკაში. მათი სახელები საყოველთაოდ ცნობილია.

მაგრამ კაცი, რომელსაც ასე ესახელებინოს თავი ჩაის კრეფაში, როგორც ამირან ტოროტაძემ ისახელა, ჯერჯერობით, თუ არ ვცდები, პირველი უნდა იყოს. 1972 წელს ამირანს გეგმით 8 ტონა ჩაი უნდა მოეკრიფა, მოკრიფა — 14 ტონა. 1973 წელს კი 8,5 ტონის ნაცვლად მოკრიფა 18 ტონა და 478 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აქედან 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 5 ტონა ჩაი მოკრიფა. ეს კარგი მაჩვენებელია. ამირანმა კი საშუალოდ ჰექტარზე სამჯერ მეტი — 16 ტონა მოკრიფა.

ამირანმა ჩაის კრეფისათვის 1973 წელს მიიღო ფულადი შემოსავალი 4 800 მანეთი. პრემიის სახით კიდევ ერგება 2 000 მანეთი.

ამჟამად იგი წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ამირანი რომ ჩაის ბუჩქებს ხელს შეახებს და მისი თითები მანქანასავით ამოძრავდებიან, არ შეიძლება თვალი მისკენ არ გაგექცეს. ვერავის აუხსნია ამირანის ოსტატობის საიდუმლო. თითებზე ჯადო აქვს წაცხებულიო, ამბობენ თანასოფლელები.

ჩაის ბუჩქს ჯერ კიდევ ადრე — 1946 წელს, 12 წლის ბიჭმა შეახო ხელი. მას მერე აღარ მოშორებია მწვანე ოქროს ბუჩქს. ადამიანებივით უყვარს ისინი. როცა პლანტაციაში დაფუსფუსებს — ან სასუქი შეაქვს, ან ძირებს უთოხნის, ან კრეფს, თითქოს ესაუბრება ბუჩქებს.

კრეფის დროს დუყები თითქოს თვითონვე უცვივდებიან თითებში. თითები კი არა, რაღაც მანქანის ნაწილებიაო, ასე ამბობენ მექანიზატორები.

სიტყვამ მოიტანა და ჩინებულ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" როგორ გაეჯიბრება ამირანი. მაგალითად, 30 ტონის ნაცვლად ახალგაზრდა მექანიზატორმა ამირან თოიძემ 1973 წელს მოკრიფა 48 ტონა, ზურაბ ურუშაძემ კი — 45 ტონა.

ამირან ტოროტაძის მიერ მოკრეფილი 18 ტონა მექანიზატორების მიერ მოკრეფილთან რა სახსენებელია, მაგრამ იგი ხომ ხელით კრეფს! ალბათ, ამირანს თავისებური ნიჭიც დაჰყვა თან, თორემ ბევრია მუყაითი, გამრჯე და გაჯიბრების მსურველი ჩაის მკრეფავი, ოღონდ მამაკაცთაგან ჯერჯერობით ამირან ტოროტაძეა რეკორდსმენი.

ჰოდა, ამიტომ უყვართ ასე ძლიერ თანასოფლელებს ამირანი. იმიტომაც უყვართ, რომ ეს ძლიერი და ტანბრგე კაცი მეტად ლმობიერი და გულისხმიერია ყველას მიმართ. ოთხმოცი წლის მარტოხელა ვასასი ჭანიშვილს უყურადღებოდ არ სტოვებს, თუ ვინმეს წახმარება სჭირდება ჩაის კრეფაში, არასოდეს არ დაიზარებს, რომელიმე თანასოფლელი თუ გასაჭირშია, მაშინვე გვერდით დაუდგება.

ამირან ტოროტაძე ერთი იმ კაცთაგანია, რომელზეც ცალკე წიგნები უნდა იწერებოდეს. ეს წიგნი მომავალ თაობებს მოუთხრობს ისეთი გლეხკაცის ოსტატობასა და მდიდარ სულიერ ცხოვრებაზე, როგორიც ამირან ტოროტაძეა.

ულის წარსული და წმყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი დასახლების ცოცხალი მემატიანეა.

კომბინატში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ გელეიშვილი ხელმძღვანელობს. როდესაც თენგიზ გელეიშვილი პირველად მოვიდა აქ, ცოტა სკეპტიკურად შეხედეს, შეექვდნენ, განა ამ პატარა წარმოებაში გაჩერდებაო, მაგრამ თენგიზ გელეიშვილი ერთი იმათთაგანია, ვისთვისაც მთავარია შრომა და არჩეული სპეციალობის სიყვარული.

ავტოკლავის საამქროში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. ქიმიკოსების პატარა ჯგუფი გულმოდგინედ მუშაობს ახალი ჰიდრომეტალურგიული მეთოდის დანერგვაზე. ამ მეთოდზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. უწინარეს ყოვლისა — ქალაქის მომავალი და ფერადი მეტალურგიის კომბინატის მშენებლობა.

ახალი მეთოდი ძველ პირომეტალურგიულ დამუშავებასთან შედარებით ბევრად უფრო პროგრესულია: მექანიზაციის ფართოდ გამოყენების საშუალებას იძლევა და აადვილებს მართვის პროცესების ავტომატიზაციას. აუმჯობესებს შრომის პირობებს, არ ხდება მტვერისა და გამონაბოლქვი გაზების გამოყოფა. ჰაერი არ გაჭუჭყიანდება და მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე ამის გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანია. მუშახელიც ნაკლები რაოდენობით იქნება საჭირო.

მრავალი მოწინავე ამოუდგა მხარში თენგიზ გელეიშვილს. აი, თუნდაც სულ ახალგაზრდა კაცი ელვარდ გურჯიშვილი. იგი პირდაპირ სკოლის მერხიდან მოვიდა აქ. მაშინ თექვსმეტი წლისა იყო. მაშინდელი კაზრეთის მაღაროთა სამმართველოს გამამდიდრებელ ფაბრიკაში უფროსმა ძმამ შაქრომ მოიყვანა. მუშაობისაგან თავისუფალ დროს საღამოს სკოლაში დადიოდა. შემდეგ არმიაში გაატარა ორი წელი და კვლავ მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდა. ამხანაგებმა უმალვე შეამჩნიეს გულისხმიერი და მუყაითი მუშაკი. მტვირთავად დაიწყო მუშაობა, ახლა უკვე ფლოტატორების ბრიგადირია. ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ქიმიურ-ანალიზურ ლაბორატორიას ტატიანა ხემილეტოვა — დარბაისელი, თმაჭაღარა მანდილოსანი ხელმძღვანელობს. იგი ძალზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. აქვე მუშაობენ ნანა ყიფიანი, ლუდმილა როინიშვილი, ნადეჟდა მალოლეტკინა და კიდევ რომელი ერთი მოწინავე უნდა ჩამოთვალოს კაცმა!

მომავალში შესაძლებელი გახდება ყველა მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულისა და ნარჩენის სახალხო მეურნეობაში გამოყენება. დაამზადებენ სპილენძის ფხვნილს და სპილენძის ნაერთებს ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის. წარმოების ნარჩენებს გამოიყენებენ საკედლე მასალებისა და სატარე მინის წარმოებისათვის. მათ ბაზაზე კიდევ ორი საწარმო აშენდება: საკედლე მასალებისა და სატარე მინის. მარტო ამის აღნიშვნაც კი საკმარისია იმ სამუშაოთა მნიშვნელობის შესაფასებლად, რომლებიც თენგიზ გელეიშვილის ხელმძღვანელობით ტარდება. ამ სამუშაოებში თბილისისა და ლენინგრადის ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იღებს მონაწილეობას.

რკინიგზის სადგურთან ახლოს შენდება მომავალი კომბინატი. მშენებლობას სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „მადნეულმშენი" აწარმოებს. დიდი გამოცდილება აქვთ სამმართველოს ხელმძღვანელებს აბესალომ ჯოჯუას, ამირან ფოჩხუას და მერაბ ანთიძეს.

მოწინავე მშენებლებს: რომან ასპანიძეს, გიორგი დევრისაშვილს, იოსებ იასალაშვილს, ინჟინრებს: ნოდარ გველესიანს, რევაზ ალანიას და სხვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალი საწარმოო კომპლექსების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში.

მალე მწყობრში ჩადგება ცენტრალური ელექტრომექანიკური ქარხანა, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატი, შენდება სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მთავარი კორპუსი, მსხვილი მსხვრევის კომპლექსი და სხვა.

1974 წლის ბოლოს დამთავრდება რამდენიმე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი და დაიწყება თექვსმეტსართულიანი სახლების მშენებლობა. ხუთწლედის ბოლომდე თორმეტი ათასი მცხოვრები მიიღებს ახალ ბინას.

მადნეულს ექნება ხელოვნური ტბა და ფეხბურთის სტადიონი.

პატარა ქალაქში უკვე ჩქეფს ცხოვრება. აქ მარტო საწარმოო გეგმების შესრულებაზე კი არ ფიქრობენ, სხვაც მრავალი რამ არის საზრუნავი. ბევრი ორგანიზაცია და დაწესებულება ეხმარება მადნეულს. მშენებლებს თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტი უწევს შეფობას. ხშირად იმართება კონცერტები. მოეწყო საღამოები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა პოეტებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა. შარშან, ერთ-ერთ საღამოზე, მომავალი ქალაქის საპატიო მოქალაქეებად აკადემიკოსი ევგენი ხარაძე და ქეთევან ლანდია აირჩიეს. აქ ხშირად ჩამოდიან აკადემიკოსი რაფიელ აგლაძე, პროფესორი პლატონ გოგორიშვილი...

* * *

ყოველ ქალაქს აქვს თავისი ცენტრი, რომელიც მასობრივი თავშეყრის ადგილია. ასეთი ცენტრი აქვს კაზრეთულას ნაპირზე აღმართულ მადნეულსაც. აქ ყოველ დილით უჩვეულო ხალხმრავლობაა. ადამიანები ნაცნობებს ეძებენ, ერთმანეთს ესალმებიან, მოუთმენლად ელიან ტრანსპორტს, შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიემგზავრებიან. უზარმაზარი „ბელაზები" მარცხნივ უხვევენ და მიწას აზანზარებენ. მშენებლები, მემონტაჟეები, მბურღავები, ამფეთქებლები, მეექსკავატორეები ავტობუსებით მიდიან ობიექტებზე. შემდეგ უცებ წყდება ხმაური და დაბაში სიწყნარე ისადგურებს. კაზრეთულას გაღმა რკინის ჩონჩხებზე, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა სიმაღლეზე ცეცხლის კოცონი ინთება და ქრება, ინთება და ქრება. იქ შემდუღებლები მუშაობენ.

შენდება დიდი ქალაქი — მადნეული, რომელსაც მშენებლებმა „მეორე რუსთავი" შეარქვეს. იგი ღირსეულად ეგებება ახალ, 1974 წელს.

კარლო არსენიშვილი.

ლიხაურის კოლმეურნეობას 1972 წელთან შედარებით 1973 წელს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა. ჩაი ნაცვლად 1.335 ტონისა მოკრეფილია 1 587 ტონა. გეგმა 118 პროცენტით არის შესრულებული. 1972 წელთან შედარებით საშუალო საჰექტარო მოსავალი 400 კილოგრამით გაიზარდა. ჩაის კრეფაში თავი გამოიჩინეს მადლენა ვასაძემ, ზინა ჭინჭარაძემ, ზინა თოიძემ, მაყვალა სალუქვაძემ და სხვებმა.

თავმჯდომარემ, ამბროსი გორდელაძემ, გულისტკივილით გვითხრა, კარგი იქნებოდა ზემდგომი ორგანოები თუ მეტ ყურადღებას მიაქცევენ მცირე მექანიზაციის განვითარებასო. ფერდობებზე ჭირს ჩაის ბუჩქების მოვლა: კულტივაცია, გასხვლა, სასუქის დაფშვნა, — ეს მძიმე სამუშაოები მოითხოვენ მცირე მექანიზაციის ფართოდ დანერგვას.

სოფელს არა აქვს წყალსადენის სისტემა. 1974 წლიდან დაიწყება აჭის მთიდან წყლის გამოყვანა. საპროექტო სამუშაოები უკვე დამთავრებულია. საამისოდ დაიხარჯება 800 ათასი მანეთი.

დაწყებულია შინმოუსვლელთა ობელისკის დადგმა. დიდი სამამულო ომიდან სოფელში 300 კაცი არ დაბრუნდა შინ. მათი სახელები სამარადჟამოდ ალიბეჭდება ობელისკზე.

## ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი

ამბროსის დავემშვიდობე.

ჩემმა მეგზურმა, საშუალო სკოლის დირექტორმა რუბენ ბურჭულაძემ მთხოვა, ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკაშიც შევიაროთო. სიამოვნებით-მეთქი, და ჩვენ ბერმუხის ახლოს მდგარ ორსართულიან შენობას მივადექით.

შევედით ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. შუახნის ქალი შემოგვეგება. თავაზიანად მოგვესალმა და ხალისი შეემატა, როცა ჩემი მისვლის მიზეზი გაიგო. ეს ქალი გახლდათ ამ ბიბლიოთეკის გამგე, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი ვასასი გორდელაძე.

დარბაზში თვალი გამექცა ლამაზად გაფორმებული სტენდებისაკენ: „ჩვენი სახელოვანი თანასოფლელები", „მოწინავე კოლმეურნეები", „გალაკტიონ ტაბიძე" და სხვა. როცა წიგნთსაცავი, ბავშვთა ოთახი, კარტოთეკები დავათვალიერეთ და გზაგზა ვასასის გამოვესაუბრეთ, გაგვიკვირდა, როგორ ასწრებს და ახერხებს ვასასი ყველაფრის ასე გულისხმიერად მოწესრიგებას.

ბევრი კარგი ბიბლიოთეკა მინახავს ჩვენს სოფლებში, მაგრამ ლიხაურის სასოფლო ბიბლიოთეკა მართლაც სანიმუშოა. აქ ყოველ კუთხეს, ყოველ წიგნს მზრუნველი და თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე ადამიანის ხელი ეტყობა. მე მარტო ვერაფერს შევძლებო, ამბობს ვასასი, მკითხველები მყავს კარგი და ისინი მეხმარებიანო.

კარტოთეკების ყუთებს შორის ერთ უჩვეულო გრძელ ყუთს მოვკარი თვალი. შიგ ბარათები აწყვია. ბარათებზე იმ ლიხაურელი ახალგაზრდების გვარი და სახელი წერია, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ვინ რომელ კურსზეა წელს, ისიც კია ამ ბარათებში აღნიშნული. ახალი წიგნები ბევრი გვაკლია, ჩვენამდე ვერ აღწევსო, გულისტკივილით გვითხრა ვასასიმ.

მინდა ხმა მივაწვდინო ჩვენი ბიბლკოლექტორის თანამშრომლებს, რომ ისმინონ ვასასის გულისტკივილი და ყველა ახალი წიგნი, განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურა, დაუყოვნებლივ გაუგზავნონ ამ მშვენიერ ბიბლიოთეკას.

მართლაც რომ სოფლის დამსახურებული მოღვაწეა ვასასი გორდელაძე. ერთმა პედაგოგმა ქალმა შემოგვისწრო და სიყვარულით თქვა: „ჩვენი ვასასიო". ამ ბიბლიოთეკის ყოველ კედელ-ყურეს წიგნის სიყვარული აწერია. ეს სიყვარული აქ ვასასი გორდელაძემ გაალვივა.

ლიხაურის ცენტრში კვლავ ამაყად დგას ხუთასწლოვანი ბერმუხა და მომავალ საუკუნეებში მიაქვს დღევანდელი ლიხაურელი მშრომელების ახალ-ახალი გამარჯვებების ამბავი.

ზურაბ ურუშაძე და ამირან თოიძე.





# ომი და მშვიდობა

ნოდარ დუმბაძე

არც ერთი ჩემი წიგნი ათ ფორმას არ აღემატება, მაგრამ რაც მე მათი გამოცემის გამო ომი გადამხდა სხვადასხვა დროს, რომ ამეწერა, კარგი მოზრდილი წიგნი გამოვიდოდა და სათაურიც შესაფერისი და ზედგამოჭრილი ექნებოდა — „ომი და მშვიდობა“, დალოცვილ ტოლსტოის რომ არ გამოეყენებინა იგი თავისი რომანის სათაურად, რომელსაც, მე თუ მკითხავთ „Волк на псарне“ უფრო შეეფერებოდა, ეს სათაური, თავის მხრივ, კრილოვს რომ არ გამოეყენებინა თავისი იგავის სათაურად, რომელიც, აგრეთვე, ნაპოლეონის რუსეთზე შემოსევას ეძღვნება...

მაგრამ საკმარისია მოვიყვანო რამდენიმე ეპიზოდი ჩემი წიგნების გამოცემის ისტორიიდან და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეპითეტებიდან, რომლითაც ამკობენ ხოლმე ჩემს ნაწარმოებებს, „ხალასი იუმორი“, „ჯანსაღი სიცილი“ და „ცრემლნარევი ღიმილი“, მხოლოდ უკანასკნელი შეიძლება მომესადაგოს.

მაშ, ასე!

## ეპიზოდი № 1

## გამომცემლობაში

გამომცემლობის დირექტორი: — ამხანაგო დუმბაძე, ეს ადგილი თქვენ წაკითხული თუ გაქვთ?! — მეკითხება იგი და ჩემივე ნაწარმოებიდან ერთ ადგილს მიკითხავს, სადაც, დაახლოებით, ასეთი დიალოგია:

„—კლასს რატომ არ აშენებ, თავმჯდომარევ?!— ეკითხებიან თავმჯდომარეს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე.

— მაგას რად უნდა კლასი, უკლასო საზოგადოებას აშენებს, — ესვრის ვიღაც რეპლიკას. დარბაზი ხარხარებს“.

— მერედა, რაშია საქმე, პატივცემულო დირექტორო? — ვეკითხები ცოტა არ იყოს შიშნარევი ხმით.

დირექტორი: — როგორ თუ რაში?! მასხარად ასაგდები რა სჭირს უკლასო საზოგადოებას?!

მე: — როგორ გეკადრებათ, გურიაში კლასს — სკოლას ეძახიან და აქ უბრალოდ სიტყვების თამაშია.

დირექტორი: — თქვენი სათამაშო კბილი მე ბავშვობაში მოვიცვალე და ჩემი საქმე არ არის, რას ეძახიან გურიაში სკოლას... კლასი კლასია, მუშათა და გლეხთა კლასი, პროლეტარიატი, და ვიდრე მე ვარ დირექტორი, არავის მივცემ უფლებას ჩემს გამომცემლობაში ჩვენი მუშათა კლასი ამასხარაოს. გინდათ ორივე დაგვიჭირონ? ახლავე წაიღეთ, გადააკეთეთ და შემდეგ ვილაპარაკოთ. თავისუფალი ბრძანდებით.

წავედი, არ გადავაკეთე და ვიდრე ახალი დირექტორი არ დანიშნეს, არ მივედი. ახალმა ბევრი იცინა და წიგნი გამოსცა. არც ერთი ჩვენთაგანი არ დაუჭერიათ.



## ეპიზოდი № 2

## ჟურნალის რედაქციაში

რედაქტორი: — დუმბაძე, შენ მართლა სულელი ხარ, თუ თავს ისულელებ?

მე: — რატომ მკადრებთ ასეთ სიტყვებს, ბატონო?!

ის: — აბა რას ნიშნავს ეს?

მე: — რა?

ის: — აი ეს! — ახლა იგი მაკითხებს ადგილს ჩემი რომანიდან. ვკითხულობ. არაფერი აპოლიტიკური, უბრალოდ, ძროხაა გამხდარი.

მე: — რა მოხდა? ძროხაა გამხდარი!

ის: — არაფერი არ მოხდა?!

მე: — მე მგონი, არა.

ის: — მე კი მგონი, მოხდა და ეს ადგილი წყალს ასხამს იმპერიალისტებისა და ჩვენი იდეოლოგიური მტრების წისქვილზე, — მეუბნება ის მკაცრად.

მე: — როგორ?! — ვეკითხები სამშობლოს მოღალატის ხმით.

ის: — კარგი, ბატონო, მჯერა, რომ სამამულო ომის დროს საჭმელი არ იყო, სასმელი არ იყო, სამშობლო მძიმე ეკონომიურ განსაცდელში იყო. ადამიანები გამხდრები იყვნენ და ყბა ყბაში ჰქონდათ გაცმული. მაგრამ ძროხა?

მე: — რა ძროხა?

ის: — ძროხა რატომ არის გამხდარი?! ვითომ რა, ისე წავხდით, რომ ბალახიც არ გვქონდა ომის დროს? მე თქვენ გეკითხებით, ბალახიც არ გვქონდა?

მე: — როგორ გეკადრებათ, ძროხა სიბერისგან იყო გამხდარი.

ის: — აგაშენათ ღმერთმა, მაშ დაწერეთ ისე, როგორც იყო: — მიუხედავად მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა, საბჭოთა კავშირს 1942 წელს ბალახი თავზესაყრელად ჰქონდა, ხოლო ჩვენი ძროხა იმიტომ იყო გამხდარი, რომ ძალზე ბებერი იყო და ბალახს ველარ ჭამდა. ისე კი, მეზობლის ძროხები მშვენივრად გამოიყურებოდნენ. — აგერ, ჩემი მაგიდა, ჩემი სკამი, დაჯექით და გადაასწორეთ

— არ გადავასწორებ! — გავჯიუტდი მე.

— მაშინ წაიღეთ სახლში, თქვენი წიგნის გულისთვის თავს ვერ მოვახსნევინებ.

წავედი, ოღონდ სახლში კი არა, ცოტა ზევით ინსტანციაში. მოვუყევი ჩემი და რედაქტორის საუბარი. ბევრი იცინეს, არ დამიჯერეს, — იგონებო. არ ვიგონებ-მეთქი. მაშინ დაურეკეს და თვითონ მას ჰკითხეს — მართალიაო? მართალიაო! — დაუდასტურა. ისევ ბევრი იცინეს.

რომანი სხვა რედაქტორმა გაუშვა.



## ეპიზოდი № 3

## მწერალთა კავშირში

ჩემი წიგნის საჯარო განხილვაა.

გამოდის ერთი კრიტიკოსი:

იგი ამბობს: — ეს არის რომანი, ამხანაგებო? რა აქვს ამას საერთო რომანთან, ასე როგორ შეიძლება, ერთი გმირი ბრმაა, მეორე — გიჟი, მესამე — დეზერტირი, მეოთხე — ქურდი, მეხუთე — უქნარა და ოროსანი, მეექვსე — გაუთხოვარი და არც არავინ რომ არ თხოულობს, ისეთი, ყველა დანარჩენი კი — მასხარა, ამათ მოიგეს ომი? ამათ ხელში იყო ჩვენი ფრონტი და ზურგი?

ეს ნაწარმოები არცხვენს ჩვენს ეროვნულ ღირსებას და სწორი გზიდან აცდენს ახალგაზრდობას. ან როგორ შეიძლება ნაწარმოების მთავარი გმირი იყოს ბრმა?!

მე: გამახსენდა, რომ ბრმა არა თუ გმირი, არამედ წიგნის ავტორიც შეიძლება იყოს, ისიც წერაკითხვის უცოდინარი, მაგალითად, ჰომეროსი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, პირიქით.

საბოლოო სიტყვაში მადლობა გადავუხადე კრიტიკოსს იმის გამო, პირდაპირ სასამართლოს რომ არ გადამცა, დამსწრე საზოგადოებას ბოდიში, ასეთი უმსგავსო რომანის დაწერისათვის და სამწერლო ასპარეზზე აღარ გამოვჩენილვარ, ვიდრე 1966 წელს აღნიშნულ ნაწარმოებში ლენინური კომკავშირის პრემია არ მომანიჭეს.



არ დამიჯერებთ და იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალის რედაქტორი თვითონ მეხვეწებოდა, ამა და ამ ადგილს ნუ წაშლი, მე ვარ პასუხისმგებელიო. მაინც წავშალე და სულ ბოლო ვარიანტში რედაქტორმა თვითონ აღადგინა ჩემდა დაუკითხავად ის ადგილი, თან ერთი თავისი ფრაზაც ჩაუმატა, „ის მამაძაღლი პროკურორიო“. მართალია, შემდეგ იმ ფრაზისათვის მან კი არა, მე ვაგე პასუხი, მაგრამ მაინც მესიამოვნა.

ახლა ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ აქაო და მაგარი ბიჭი ვარ-მეთქი. არა, ამას იმიტომ ვწერ, რომ ეს ჩემი წერილი ახლა რედაქციაში დევს, და როდესაც რედაქტორი წაიკითხავს, იქნებ შევეცოდო და წერილიდან არაფერი არ ამოშალოს.

# მხიარული მეკვლე

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ფაქტურა გაქვს?
— თოვლის ბაბუა ვარ, შვილო.. თოვლის ბაბუა!



— გაუმარჯოს! ხელოვნური ნაძვის ხე რომ არ დაემზადებინათ, თქვენს თავს ვინ შემარჩენდა, შვილებო!



— ბიჭო, მოათავე საქმელი, თორემ არითმეტიკას ალარ გამოგიყვან!
— ალარც მე გადაგიწერ ანონიმურ წერილებს!



— ეს არის ორი მანეთის საჩუქარი?!



თოვლის ბაბუების საკვალიფიკაციო კურსებზე.









ეროვნული ბიბლიოთეკა





# დიმიტრი თაყაიშვილი





საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დიმიტრი თაყაიშვილი ეკუთვნის მხატვართა იმ თაობას, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდში გამოვიდნენ სამხატვრო სარბიელზე. დიმიტრი თაყაიშვილი დაიბადა 1919 წელს, თბილისში, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება, როგორც ერუდირებულმა, ღრმა ინტელექტის მხატვარმა. დიმიტრი თაყაიშვილის მასწავლებლები იყვნენ დავით კაკაბაძე და აპოლონ ქუთათელაძე.

დღეს ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მხატვრის შემოქმედებას, რომელიც ყოველთვის ყურადღებას და დიდ მოწონებას იმსახურებს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე.

დიმიტრი თაყაიშვილს გაფორმებული აქვს ასზე მეტი თეატრალური წარმოდგენა, თხუთმეტი კინოსურათი.

დიმიტრი თაყაიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელმძღვანელობს კინო-ტელე სახელოსნოს.

ჟურნალის ამ ნომერში ქვეყნდება სპეციალურად კინოდეკორაციებისათვის განკუთვნილი მისი ნამუშევრები













ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეგობრები გვილოცავენ

## მაია პლისეცკაია

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

**მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჟურნალ „დროშის“ ფურცლებიდან მივესალმო ჩემს ქართველ მეგობრებს.**

**უკანასკნელად გასტროლებზე თქვენთან ამ ათი წლის წინათ ვიყავი, როგორც ხედავთ, ცოტა დრო როდი გავიდა, მაგრამ ჩემში გუშინდელ დღესავით ცოცხლობს მოგონებანი ამ ქალაქზე. დღესაც მათბობს ის ყურადღება და სითბო, რაც ქართველმა მაყურებელმა გამოიჩინა ჩემს მიმართ.**

**ქართველებს უყვართ ხელოვნება, აფასებენ ხელოვან ადამიანებს, აქვთ გასაოცარი უნარი მშვენიერის აღქმისა, გასტროლები საქართველოში მსახიობისათვის ნამდვილი ზეიმია, დიდი ბედნიერებისა და სიხარულის მომგვრელი.**

**ვულოცავ ახალ წელს, ყველას, უკლებლივ ყველას, ვინც ცხოვრობს მზიურ რესპუბლიკაში.**

**დაე, ყოველთვის ჟღერდეს ქართული მუსიკა, ყოველთვის ცოცხლობდეს ქართული ცეკვა.**

## ვლადიმერ ბურაკოვსკი

მოსკოვის აკადემიკოს ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მრავალ ახალ წელს! მრავალჟამიერ, ჩემო ძმებო, დებო, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებო!

მე თბილისელი ვარ. თბილისში დავიბადე და გავიზარდე. აქ დავამთავრე სკოლა. უმაღლესი განათლებაც აქ მივიღე. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე თან მდევს ღრმა პატივისცემის გრძნობა ამ ქალაქისადმი, ქართველი ხალხისადმი, ჩემი ქართველი მასწავლებლებისადმი, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ჩემს ჩამოყალიბებაში, როგორც ადამიანისა და როგორც ექიმისა.

ჩემი პირველი მასწავლებელი გახლდათ დიდად პატივცემული, შესანიშნავი ქირურგი და ადამიანი დავით იოსელიანი.

დღეს მე და ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი მჭიდროდ ვართ დაკავშირებული საქართველოს წამყვან ქირურგებთან, მეცნიერებთან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენს საერთო საქმეში.

მინდა ქართველ ქირურგებს მომავალ ახალ წელს ვუსურვო ახალ-ახალი მიღწევები მუშაობაში და ბედნიერება.

მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!



თამაზ ნატროშვილი

# ზაზა ჩემთან ერთად

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

გელა აივანზე იჯდა, ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა, მაგრამ თვალი წამდაუწუმ გაურბოდა ცაში დათვის ტყავივით გაფენილი ღრუბლისკენ. ჩამავალი მზის სხივმა ღრუბელს შორიდან შეასუნთქა სითბო, მერე წითელ-ყვითელი ლაქები დაიჩუტა და გაუჩინარდა. თეთრ ღრუბელს ალაგ-ალაგ ჭუჭყისფერი ძონძები შეეპარა.

— თვითმფრინავს უყურებ? — ჰკითხა უმცროსმა ძმამ.

გელამ არაფერი უპასუხა, თავი ჩაღუნა და ისევ ჩააშტერდა წიგნს, მთელი საათი რომ ჰქონდა გადაშლილი იმავე გვერდზე და მაინც ვერ ჩაეთავებინა.

— თვითმფრინავს უყურებდი? — ჩააცივდა თორნიკე. თითქოს ევედრებოდა, მაჩვენე, მეც მინდა დავინახო თვითმფრინავიო.

— თვითმფრინავს არა, ტოროლას...

ხელუკუღმა ისროლა წიგნი ტახტისკენ, გაიზმორა, ნელ-ნელა ჩაცურდა სავარძლის სიღრმეში, ფეხები შეაწყო აივნის მოაჯირზე, მადიანად დაამთქნარა და თვალები დახუჭა.

თოვს და თოვს. გადაუღებლად თოვს. ასფალტზე უღონოდ ეცემა თოვლი. ნისლისფერი ციდან ეშვება ფიფქების თეთრი ფარდა, ერთიმეორის მსგავსი ფიფქები, ტყუპი ფიფქები. საიდან მოდის ამდენი ფიფქი? ვინ იცის, რამხელა გზა უნდა გამოიარონ, სანამ დაეშვებიან. მინდობილად ეშვება ცივ ასფალტზე გულუბრყვილო ფიფქი და მაშინვე დნება, ქრება უკვალოდ. სველდება ასფალტი, ფიფქების ჯარი შეუწყვეტლივ მოიწევს ძირს, ასფალტზე რომ დაასრულოს წუთიერი სიცოცხლე. ეშვება ნისლისფერი ციდან ფიფქების ფარდა, თვალი ხედავს გარეგნულად ერთფეროვან ფიფქებს. ძალიან, ძალიან უნდა დაიძაბოს თვალი, რომ გაარჩიოს ერთი ფიფქი მეორისაგან. უფრო ადვილია ქარავანს გამოყოფილი ფიფქის შემჩნევა. აგერ, ერთი თავნება ფიფქი ამოვარდა მწყობრიდან, გვერდით გაუხვია, შეტორტმანდა, დატრიალდა და მერე ისევ შეერია მწყობრს. თავნება ფიფქები ხანდახან არღვევენ ერთფეროვანი მოძრაობის მელოდიას, მაგრამ მათი დანახვა თვალს უჭირს, საერთო სურათი ნთქავს თავნება ფიფქებს.

გელამ თვალები გაახილა. შემოდგომის თბილი საღამო თანდათან იჟღინთებოდა ღია ფანჯრებიდან გამოვარდნილი ათასნაირი კერძის ჭრელი სუნით. რატომ ფიქრობს გელა თოვლზე? რატომ გაახსენდა შარშანდელი თოვლი? დაჟინებით ჩაჰყურებს წიგნს, მერე ერთ წერტილში ეყინება მზერა, სიტყვას ორეული უჩნდება, გვერდზე გარბის და ამღვრევს მომდევნო სიტყვას.

თვალები დახუჭა. ხედავს, როგორ ეშვებიან ასფალტზე ფიფქები.

ფიფქებია თუ ფიქრებია ფიფქებნაირი, გელა... თუ ფიქრებია, ასე უცებ რატომ ქრებიან, გელა! ფიფქებნაირი ფიქრები ზევით დაიძრნენ, სუნთქვაშეკრულ ფიქრებს აღარ ეყოთ ჰაერი და გზას გაუდგნენ სივრცის საძებნელად. მაღლა და მაღლა მიიწევს ფიქრების ფარდა. ფიქრები — ზევით, ფიქრები — ქვევით. დნებიან თუ ქრებიან ფიქრები? ქრებიან, ქრებიან ფიქრები, ფიფქებივით დნებიან და ქრებიან. ფიფქები ქრებიან და მერე ბრუნდებიან შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ საღამოს, როდესაც მზე, ეს-ეს არის ჩავიდა და ჰაერი ზრიალებს ეზოში გამოფენილ ბავშვების ჟრიამულით. ეშვება ფიფქები და ფიფქებივით უმწეო ფიქრები ტკაცატკუცით ინთება და წამსვე ქრება, ინთება და ქრება.

...ყველაზე ადრე ბებიამ ატეხა განგაში, სანამ დედ-მამა რამეს შეამჩნევდა, სანამ პატარა თორნიკე მიხვდებოდა, ყველაზე ადრე ბებიას მოხვდა თვალში ფერიცვალება გელასი, მაგრამ არავისთვის არ გაუმხელია.

საბანი სანახევროდ იატაკზე ჩამოცურებულიყო, წელზევით შიშველი გელა ლოგინში წამომჯდარიყო და უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს. თვალები ერთ წერტილში ჰქონდა გაშტერებული. ბებიას რიგიანად არც შეუხედავს, იფიქრა, ძილბურანშიაო, და დაუცაცხანა:

— ბიჭო, გამოფხიზლდი, რას ნებივრობ ერთი ვიცოდე, აბა წამოხტი და პური ჭამე, სანამ დროა, ადე-მეთქი, სკოლაში დაგაგვიანდა, შენი ამხანაგები უკვე გზაში არიან.

გელამ ყურიც არ გაიბერტყა. ბებია ყურადღებით დააკვირდა, იფიქრა, სათვალის ბრალი არისო, და შუბლზე აიწია სათვალე. მაგრამ სათვალითაც და უსათვალოდაც ერთი და იგივე სურათი წარმოუდგა თვალწინ — ლოგინში წამომჯდარი გელა უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს. ასეთი არასოდეს ენახა. დაბნეული შეჰყურებდა შვილიშვილს.

— შვილო, გაკვეთილებს იმეორებ?

— ჰა? — პირი დააღო გელამ.

— გაკვეთილებს იმეორებ-მეთქი? — მოთმინებით გაიმეორა ბებიამ და თითქოს დასტური მოესმა პასუხად, შუბლი გაეხსნა, მერე საათისკენ გაექცა თვალი და შეშფოთდა.

— დაგაგვიანდება, შვილო, ჭამას ვეღარ მოასწრებ. ადექი, აბა ეგრე გაგონილა ჯდომა?

გელამ გაურკვევლად ჩაიბურდღუნა რაღაც სიტყვები, ვერც ერთი ვერ მისწვდა ბებიას სმენას. ბებია ერთ ადგილზე გაშეშდა, შეშინებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს დამხმარეს ეძებდა. ნეტავი ხომ არ ბოდავსო, გაიფიქრა. იქნებ, სიცხეც აქვსო, შეკრთა. იქნებ, გაცივდაო, თუმცა რა გააცივებდა, გუშინ ბურთი არ უთამაშიაო. მაგრამ ასეთ არეულ ამინდში უბურთოდაც გაცივდებოდაო, ხან ცხელა და ხან ცივაო, ხან ქარია და ხან წვიმაო. ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს, თითქოსდა ტკბილად ეძინა ლოგინში გელას, და არ გავაღვიძოო, ფრთხილად მიადო შუბლზე ხელი, მაშინვე დამშვიდდა, ისევ ფეხაკრეფით გამობრუნდა უკან. ოთახიდან გასვლა დააპირა და მე-

რე გაახსენდა, რისთვისაც იყო შემოსული. გაოცებით, თითქოს პირველად დაინახაო, შეხედა გელას, რომელიც ლოგინში წამომჯდარი უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს.

— ადამიანო, სკოლაში დაგაგვიანდა! — ხმას აუწია ბებიამ.

— სკოლა, სკოლა, სკოლა! — მოულოდნელად შეჰყვირა გელამ, თითქოს ერთ წამში გამოფხიზლდაო. მერე ფეხი გაჰკრა საბანს და მთლიანად ჩააცურა იატაკზე, საწოლიდან ისკუპა და საბნის ასაღებად დახრილ ბებიას კინაღამ არ დაეტაკა. ფეთიანივით ჩაიცვა ტანსაცმელი, ჩანთაში ჩატენა წიგნები, რომელიც ხელს მოჰყვა და თვალის დახამხამებაში გაიჯახუნა კარი.

— საჭმელი, ბიჭო, საჭმელი დაგავიწყდა, — უკან მისძახოდა გაოგნებული ბებია, მაგრამ მისი ხმა რაღას დაეწეოდა გელას.

ახე დაიწყო ფერიცვალება გელასი. ჭამას მოუკლო, სულ ავიწყდებოდა, და როცა შეახსენებდნენ, უნდილად მიუჯდებოდა მაგიდას, გული რომ გამიწყალეთ, აპა შევჭამ და მოისვენეთო. ბებია საიდუმლოს ინახავდა, ყველაფერი მე არ გადმომაბრალონო, ცოტას კიდევ დავიცდი, თავისით გაუვლისო.

ერთ მშვენიერ საღამოს, სადილობისას, თორნიკე მოუთმენლად აცქმუტდა სკამზე, ხან დედას შეხედა, ხანაც — მამას, ყური მათხოვეთო, ბოლოს ვეღარ გაუძლო მოწოლილ ცდუნებას და თითქოს ვიღაც მოსდევდა, ეწეოდა და რომ მოესწრო, სანამ დაეწეოდნენ, სულმოუთქმელად წამოიძახა:

— ათას ხუთასი წლისა ხარ, ჩვენო ქალარა თბილისო!

გელა ოდნავ წამოწითლდა, მერე თავი ჩაღუნა, მაგიდის ქვეშ თორნიკეს ფეხებს დაუწყო ძებნა.

— ვაიმე, — დაიღრიალა თორნიკემ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — უკმაყოფილოდ თქვა მამამ.

— მცემს, — ყასიდად აზლუქუნდა თორნიკე, — გელა მცემს.

— დაიბრიყვე? — გაბრაზდა მამა, — ჭამის დროს ჩხუბი ვინ გაიგონა. ჭამის დროს ლაპარაკიც აკრძალულია.

თორნიკემ კიდევ ერთი კოვზი წვნიანი მოხვრიპა, ფეხები სკამზე მოიკეცა და ისევ წამოიძახა:

— მთაწმინდაზე კი არიან ჩვენი ლამაზი მწერლები.

ყველანი თორნიკეს მიაჩერდნენ. გელა იბღვირებოდა.

— რას მიედ-მოედები, ბიჭო! — თქვა მამამ.

— გელას ლექსია, გუშინ დაწერა, — სიცილით თქვა თორნიკემ და გულზე მოეშვა, თითქოს გალიის კარები გაუღო ჩიტს.

— რაო, რაო? — ერთხმად აღმოხდა დედას და მამას.

— მე კი მეგონა, ბოდავს-მეთქი, — თქვა ბებიამ.

ჯერ გაოცდნენ, მერე გაეცინათ, ბოლოს ბჭობა დაიწყეს, ბჭობდნენ და კამათობდნენ.

მამა: გაკვეთილები ისწავლოს, ის ურჩევნია. ფეხბურთელი უნდა გამოვიდეო, ახლა პოეტობა მომინდომა. გადაჰყვება ლექსების წერას და მე ვისწავლო მაგისი გაკვეთილები?

დედა: რა გინდა გენაცვალე, რას ერჩი, პოეტი შვილი გვეყოლება. ამაზე უკეთესს რას ინატრებ. უჰ, რამდენი ფული ექნება, მანქანა და აგარაკი, სახელი და სახრავი. პოეტები რომ ფულს აკეთებენ... ნახე, რა მდიდარი შვილი გვეყოლება.

მამა: ჰო, ეგეც მეორე ბაირონი გამოვა სწორედ. გაკვეთილები ვერ უსწავლია ხეირიანად. იმის მაგივრად, რომ იმეცადინოს და იმეცადინოს, ლექსების წერა დამიწყო. ჯერ იყო და ფეხბურთს გადაჰყვა, პელე უნდა გამოვიდეო. არ გახსოვს, რამდენჯერ გაცივდა? ახლა ეს ლექსები იქამდე მიიყვანს, რომ... იქამდე მიიყვანს, ერთ კვირაში კი ვეღარ მოარჩენს ექიმი.

დედა: გაიზრდება და პოეტი გამოვა. მდიდარი კაცი იქნება და სახელოვანი.

მამა: გაჩუმდი, ქალო, გაჩუმდი! წიგნის კითხვა მაგას არ უყვარს და რანაირად გახდება პოეტი, ერთი გამაგებინე. და, საერთოდ, რა უბედურებაა, ბატონო, ნახევარი საქართველო რომ ლექსის წერას აუტანია (უცებ-გონებაში გაუელვებს, მგონი, არავის უთქვამს დღემდე — ჩვენი ლამაზი მწერლებიო. თავისი გულუბრყვილო უაზრობის მიუხედავად, რაღაცით ხიბლავს ეს სიტყვები. ტკბილად ეღიმება. ჩვენი ლამაზი მწერლები).

პატარა თორნიკე ფეხებს აბაკუნებდა და გამოთქმით ამბობდა: მამას ბაღში ეძინა, გავაღვიძე, ეწყინა. აპა, მამა, ბუკეტი, ნუღარ გამებუტები.

— ეგეც გელამ დაწერა?

— არა, საბავშვო ბაღში რომ დავდიოდი, მაშინ ვისწავლე.

— ღმერთო, გვიშველე და გადაგვარჩინე, — ოხრავდა მამა.

თორნიკე ხმამაღლა გაჰყვიროდა: პიანინო — დეიდა ნინო, ოთახი — ოჯახი, მაგიდა — რა გინდა, ვირი — ცხვირი, ლომი — ომი.

როდესაც გელა ყურს მოჰკრავდა, ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, მაგრამ, მშობლების ხათრით თუ შიშით, უთმენდა უმცროს ძმას.

— გელა, ძმაკაცები გეძახიან, ეზოში ჩამოდიო, — შეახსენებდა დედა. წინათ უშლიდნენ ეზოში ყოფნას, ახლა აძალებდნენ.

— გელას არა სცალია, ლექსებს წერს, — ხითხითებდა თორნიკე.

— ჰმ, ლექსებს წერს, — ბრაზობდა მამა, — გაკვეთილები მე ვისწავლო?

— ვსწავლობ და რა ვქნა, — თავს იმართლებდა გელა.

— ჯერ ფეხბურთი, ახლა ლექსები. მალე ლოთობას დაიწყებს, მერე ცოლის მოყვანას დააპირებს.

დედა თვალით ანიშნებდა, გაჩუმდი, რაებს ლაპარაკობო.

— გელა, დღეს რამდენი ლექსი დაწერე? — სერიოზული სახით ეკითხებოდა თორნიკე.

— მომეშვი, თორემ ინანებ, — იღრინებოდა გელა. ერთი სული ჰქონდა, სილაქებით აეჭრელებინა თორნიკეს გამობერილი ლოყები.

ორიანებმა ურცხვად წამოყვეს თავი გელას დღიურში. რა დაემართა ამ ბავშვს, ვერაფერი გაგვიგიაო, გაოცებით შლიდნენ ხელებს მასწავლებლები. ყურადღება ეფანტებაო, ეტყობა, ავად არის და აკადემიური აუღეთ, დაისვენოსო, ურჩევდნენ გელას მშობლებს. მრავალმნიშვნელოვნად იღუშებოდნენ, ვითომდა ჩვენ რა უნდა ვიღონოთ, ეს უკვე აღემატება ჩვენს კომპეტენციას და საჭიროა, არა მარტო საჭირო, არამედ აუცილებელი და გადაუდებელიც — ყოვლისშემძლე სამედიცინო ძალების ჩარევაო.

თავბრუ ხომ არ გეხვევა, გელა? თავის ტკივილი ხომ არ გაწუხებს, გელა... გული ხომ არ გერევა, გელა... რას მიშტერებიხარ კედელს, რამე დაინახე? გელა, გელა, გელა, თავბრუ ხომ არ გეხვევა, გელა. არაფერია, წავალთ ექიმთან და ყველაფერი გაგივლის. ხმას რატომ არ იღებ, გელა? გაგაშუქებენ და გაიგებენ, რა გაწუხებს. დედიკო, რას, რას გააშუქებენ?! ველოსიპედი წაექცა და ვინ იცის, იქნებ, თავი დაარტყა ასფალტს, ექიმო. თვითონ ამტკიცებს, არაფერიც არ დამირტყამსო, არაფერიც არ მტკივაო. რას ამბობს რენტგენის სურათი?

— არ წამოვალ ექიმთან, არ წამოვალ, — ყვიროდა გელა.

როგორ არ უყვარდა ექიმები! საბანს გადიხურავდა ხოლმე, მაგრამ საბანქვეშ რას დაიმალები. მერე იწყებოდა: აბა, პირი გააღე, აბა, ენა გამოყავი, არ ისუნთქო, ისუნთქე, არ ისუნთქო. დაწექი, კარგი ბიჭი ხარ და ჭკვიანი, ყოჩაღ! მაგრამ ახლა არაფერი არ სტკივა. არც ყელი, არც თავი, არც მუცელი.

ესიზმრება რენტგენის კაბინეტი, ჩაბნელებული და პირქუში. თავზე ჩამოაცვეს მძიმე ტომარა, ხელ-ფეხი გაუკოჭეს. სული შეეხუთა. მერე ატყდა გაბმული გუგუნი... მთელი ღამე ესიზმრებოდა ჩაბნელებული დარბაზი, თეთრხალათიანი ექიმი დინჯად ფურცლავდა რენტგენის სურათებისგან შეკრულ ალბომს. თითოეული სურათი თეთრი წერტილებით იყო დაცხრილული. სამუდამოდ გაყინული ფიფქების ფარდა. „ჩემი ფიფქებია“, — ყვიროდა გელა და ალბომს ეპოტინებოდა. მაგრამ ალბომი ჯიუტად უსხლტებოდა ხელიდან...

თავი წამოსწია ბალიშიდან, წამოჯდა, და ჩვეულებისამებრ თვალები დახუჭა. აღარაფერი დაუნახავს. ფიფქები და ფიქრები თითქოს ჩაყლაპა წუხანდელმა სიზმარმა. ფრთხილად წამოდგა, ნელ-ნელა დაიწყო ჩაცმა. არაფერი დავიწყებია, რის გაკეთებაც ევალებოდა დილაობით. გაკვეთილების გამეორებაც კი მოასწრო. წუთში მოაცარიელა მთელი სუფრა და უკმაყოფილოდ იკითხა, მეტი არაფერი გვაქვსო?

ბებია თვალებს არ უჯერებდა. „მორჩა, მორჩა, თვითონ მორჩა“.

მორჩა და გათავდა, ბოლო მოეღო ლოგინში ბუტბუტს; აღარც თორნიკე ხითხითებდა, აღარც მამა ბრაზობდა, აღარც დედა აგებდა ბროლის კოშკებს.

ახლა ყოველ დილით ბუზღუნებს გელა, შიმშილით ვკვდებიო.

დღიურსაც გამოკეთება დაეტყო.

თოვლი რომ მოვიდა, გელამ გუნდაობით იჯერა გული:

თოვლის ფიფქები აღარ აწუხებდა.

# სად როგორ ხვდებიან ახალ წელს

მხიარული საახალწლო კარნავალი, თოვლის ბაბუა და თვალისმომჭრელად გაბრდღვრიალებული ნაძვის ხე, ანდა მყუდრო ოჯახური საღამო, ისიც უეჭველად ნაძვის ხით, საჩუქრებით, საზეიმოდ გაშლილი მაგიდით დამშვენებული, უკვე დიდი ხანია გადაიქცა ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და საყვარელ საახალწლო ტრადიციად.

სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანები სხვადასხვანაირად, მაგრამ ყოველთვის სიხარულით და აღფრთოვანებით აღნიშნავენ ახალი წლის მოსვლას, რომელსაც უკავშირებენ თავიანთ სანუკვარ ოცნებებს, იმედებსა და სურვილებს.

ჩვენ ქვეყანაში საახალწლო დღესასწაულს თან ახლავს მწვანედ შეფოთლილი სურნელოვანი ნაძვის ხე. იქ კი, სადაც ნაძვები არ ხარობენ, მათ ცვლიან სხვა რომელიმე მარადმწვანე ხით ან ბუჩქით. მაგალითად, ვიეტნამში საახალწლო ხედ მანდარინს თვლიან.

საინტერესოა, რომ გასულ საუკუნეში დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში საახალწლო თოვლის პაპა ანუ სანტა-კლაუსი სულაც არ იყო ისეთი კეთილი და მხიარული, როგორიც ამჟამად გახლავთ. საახალწლო ნაძვის ხეზე თოვლის პაპა ანსახიერებდა რაღაც ბოროტს, მკაცრსა და საშინელს და ცდილობდა თავზარი დაეცა ბავშვებისთვის. კეთილი თოვლის ბაბუები მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ.

მოკლედ მოგითხრობთ საახალწლო ტრადიციებზე, რომლებიც სათუთად და სიყვარულით შემოინახეს სხვადასხვა ქვეყანაში.

მონღოლეთში, მაგალითად, თოვლის ბაბუა წარსული საუკუნეების მწყემსს წააგავს. ხელში შოლტი უჭირავს, რომელსაც ხშირად ატყლაშუნებს, ქამარზე ტრადიციული თამბაქოს ქისა, კვესი და აბედი ჰკიდია. ტანზე ბეწვიანი ქურქი აცვია, თავზე კი მელიის ტყავის დიდი ქუდი ახურავს.

იტალიელებს საინტერესო წესი აქვთ: საახალწლო ღამეს თავიანთი ბინებიდან ეზოებსა და პირდაპირ ქუჩებში ყრიან მათთვის გამოუსადეგარ საოჯახო ნივთებს — გაბზარულ ჭურჭელს, დამტვრეულ ავეჯს, მოძველებულ ნივთებს. ფიქრობენ რომ ეს მათ ოჯახს ზვავსა და ბარაქას მოუტანს.

ბავშვებს უყვებიან ზღაპრებს ბებერ ჯადოქარ ბეფანეზე, რომელიც ღუმლის საკვამურით ჩაძვრება ხოლმე სახლში და პატარებს ფეხსაცმელებში უწყობს საჩუქრებს.

ირანში ახალი წლის დღესასწაული გაზაფხულის დადგომის დღესასწაულია. ზეიმი მთელი კვირა

# ახალი თარგმანები

დიმიტრი გულია,
აფხაზეთის სახალხო პოეტი.

## ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს

თავმდაბალი მუშაკი
იღწვი მშობელ ხალხისთვის,
მუდამ ახალგაზრდულად
ქვეყნის საქმეს ევლები,
მიტომ მინდა გავშალო
მეც ეს მკერდი ხალისით,
დაგიკოცნო, როგორც ძმას,
შენი ოქრო-ხელები.

ოქტომბრიდან აშენე,
ზარდე ქვეყნის დიდება,
არ უკრთოდი არასდროს
დღეებს მკაცრს და ნისლიანს,
შენ არ იცი, რა არის
დალლა და დამშვიდება,
სიძნელის წინ არ გითქვამს
სიტყვა: „არ შემიძლია“.

თუმცა მტერი მუხთალი
დღენიადაგ ავობდა,
თუმც მრავალგზის იწივლეს
გესლიანმა ენებმა:
..—არაფერი გამოვა, .
არაფერი გამოვა...“
შენ კვლავ მშვიდად განაგრძე
შენი საქმე — შენება!

დაუცხრომლად შრომობდი
ნებაშეურყეველი,
მებრძოლს არა გჩვევია
დარდი და სიმძიმილი,
გამარჯვების საქმეში
არის შენი სახელიც,
სახეც მიტომ გიბრწყინავს
ბედნიერი ღიმილით.

სოფელს რომ არ მოეცა
ქარავნები პურისა,
რკინა რომ არ გვქონოდა
ჩვენს ქურაში ნაწრთობი,
შენ ვერ გაიღიმებდი!
ჩვენს ბედნიერ გულისხმას
მტერი გადასთელავდა
თავის მუხანათობით.

გეჯერა, არ დაკარგულა
შადლიანი ოფლისღვრა,
ამ მრისხანე ბრძოლაშიც
გამოსცადე ძალ-ღონე!
ხალხის ძახილს გაჰყევი
შრომაშიც და ომშიაც.
და შენ ვეღარ გაგტეხეს,
და შენ ვერ დაგაღონეს.

უშიშარი გაჰყურებ
წინ, დიდების მწვერვალებს,
და ხუთწლედის ფრთაგაშლილ
ხარაჩოებს აშენებ,
ვით მებაღე თავის ბაღს,
უვლი მშობელ ქვეყანას,
და გწადია, რომ იგი
უფრო მეტად დამშვენდეს.

გამარჯვება ნათელ გზის
მოვიპოვეთ რამდენი,
ო, რა ზეიმს მოგვიტანს
ხვალინდელ დღის გაჩენა,
დგახარ და იღიმები
იმედით და ღრმა რწმენით,
მომე ხელი, დავლოცო
შენი ოქრო-მარჯვენა!

მუსთაი ქარიმი,
ბაშკირეთის სახალხო პოეტი.

## ორი ლექსი

1.

ჭკვიან კაცს ვამცნე მე საიდუმლო,
ყველა ტკივილი გავანდე ფრთხილად,
და საკუთარი სურვილით, უმალ,
იმ დალოცვილმა მაქცია შვილად.

სულელ კაცს ვამცნე მე საიდუმლო,
თუმცა ვიცოდი იმ სიტყვის წონა,
და სულ შემთხვევით, უნებურ, უმალ
იმ უკუღმართმა მაქცია მონად.

2.

ბულბულს რად უნდა, ძმავ, სილამაზე,
სამკაულები, მძივთა მრავლობა?
ყელს მოიღერებს, ეშხით აღაგზნებს
ცასა და მიწას მისი გალობა.

პოეტს რად უნდა ჩინი სხვაგვარი?
სხვა შეედრება მის ჩინს რომელი,
როცა მის ლექსებს ფეხზე ამდგარნი
იზეპირებდნენ ქვეყნის მპყრობელნი!

მიხეილ ლუკონინი

## დამატება პროექტზე

მე ვეთანხმები ამ დიად პროექტს:
...მარმარილოს და გრანიტის ბრწყინვას,
თეთრ ქვას, ბობოქარ ზღვაში რომ ჰპოვეს,
და ურალიდან მოტანილ რკინას.

დაე, ბაღებში იყოს შრიალი
ტოტებგადაშლილ ამაყ ხეების,
იდგნენ მზიანი, ჩუქურთმიანი,
სვეტებიანი სასახლეები.

დე, კიბეები ვოლგისკენ რბოდნენ
და მეჩეტკაზე გაჩნდნენ ხიდები,
დე, მაშხალები ქალაქში კრთოდნენ
და გაჰყურებდნენ ცას დამშვიდებით.

დაე, ყოველი, რაც დღეს ოცნებად
თუ ჩაითვლება,
ასრულდეს ჩქარა,
ვიხილოთ გეგმის ასხივოსნება
მწვანე ქუჩებად, ბაღების ღვარად.

მე, მადიდებელს მართალი შრომის,
კალატოზების მარჯვენის მჯერა,
და ამ გიგანტურ ორმოებს შორის
ვხედავ გიგანტურ საქმეთა კერას.

მე ვეთანხმები ხალისით პროექტს,
ეს გრძნობა ხალისს აღემატება!
მაგრამ აქაურ მკვიდრსა და პოეტს
მე ერთი მცირე მაქვს დამატება:

მე მინდა, — არა უცხოელისთვის, —
რომ არ ეგონოთ ზღაპარი მკრთალი,
საშვილიშვილოდ დარჩეს მერმისში
სტალინგრადული ბრძოლების კვალი.

პავლოვის სახლთან, ვოლგასთან ახლოს,
დარჩნენ სახლები ნატყვიარები,
რომელთაც ყველა გრიგალი ახსოვთ,
ახსოვთ წუხილიც, ცეცხლიც, ქარებიც.

და კიდევ მინდა, ვფიცავ თქვენს ძმობას,
რომ ჩვენ შეგვეძლოს ვიხილოთ თვალით,
სტალინგრადული თაობის ყრმობა
და სტალინგრადის ბრძოლების კვალი!

ლექსები თარგმნა ხუტა ბერულავამ

გრძელდება. ოჯახის უფროსი თავისი ოჯახის წევრებს ასაჩუქრებს ახალი ტანსაცმლით. სადღესასწაულო სუფრებზე უსათუოდ გამოაქვთ ნიორი, ძმარი, გალვივებული თესლი, ზოგჯერ წყლიანი ჭიქები შიგ მოსხარტალე ცოცხალი თევზებით. ახალ წელთან შეხვედრისას მცხოვრებლები ქუჩაში გამოდიან, აჩაღებენ ჭიაკოკონებს' და ახტებიან ზედ. საკეთილოდ ითვლება სახლში თიხის ძველი ჭურჭლის დამტვრევა. თორმეტ საათზე ხელში იჭერენ ვერცხლის მონეტას, რაც, როგორც ფიქრობენ, უსათუოდ იხსნის კაცს მშობლიურ ადგილებთან, ოჯახთან განშორებისაგან.

ბირმაში ახალ წელს ზეიმობენ წელიწადის ყველაზე ცხელ დღეებში. ძველი ჩვეულების მიხედვით, ბირმელები ერთმანეთს წუწავენ წყლით, წუწავენ ახლობლებს, ნაცნობებს თუ უცნობებს. ამასთან არავის არ სწყინს ასეთი უცნაური გამასპინძლება.

ჩინელებს წესად აქვთ საახალწლო სუფრის ყვავილებით შემკობა.

ეთიოპიაში ახალი წელი სექტემბრის შუა რიცხვებში დგება. იგი ემთხვევა მოსავლის დღესასწაულს. მცხოვრებლები იკრიბებიან ქალაქის ან სოფლის გარეთ. თითოეულ მათგანს თან მოაქვს კონებად შეკრული გამხმარი რტოები, რომლებსაც ერთ დიდ ზვინად ალაგებენ და ცეცხლს უკიდებენ. კოცონის გარშემო მართავენ საზეიმო მსვლელობას, თამაშობასა და ცეკვას.

გერმანელებსა და ავსტრიელებს შორის წარმატების სიმბოლოდ ითვლება საკვამურის მწმენდავი და ღორი. ძველად, ახალ წელს, ქუჩაში თუ საკვამურის მწმენდავი გამოჩნდებოდა, ადამიანები გარბოდნენ მისკენ, რომ ხელით შეხებოდნენ და გამურულიყვნენ ჭვარტლით. ამას ბედნიერება უნდა მოეტანა მათთვის.

საახალწლო სუფრისთვის დღემდე შემორჩენილია ღორის ხორცის კერძის დამზადების წესი.

ვენაში ახალი წლის წინ უშვებენ სპეციალურ მედალ-სუვენირს, რომელზეც ამოტვიფრულია ღორზე შემჯდარი პატარა ბიჭი.

რუმინეთში ახალი წლის დადგომას აღნიშნავენ ძველებური ცერემონიული სიმღერებით — კოლიადკებით (ჩვენებურ „ალილოსავით“). მომღერლებს ხელში უკავიათ ჯოხებზე ან ტოტებზე დამაგრებული ხელოვნური ყვავილები, ზანზალაკები და მისთანები. ძალიან გავრცელებულია საახალწლო რიტუალი — კაპრა (თხა). თხის რიტუალურ ცეკვას ასრულებს კაცი, რომელსაც მხრებზე მოსხმული

## სად როგორ ხვდებიან ახალ წელს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი, ჭადრაკის სასახლე





რომან ჯინჯიხაშვილი.

სურათზე: (მარცხნიდან) მაია ჩიბურდანიძე, გიორგი მაჭარაშვილი და გენადი ზაიჩიკი.



## ერთი თვალის გადავლებით

დარბაზი ხუთასზე მეტ კაცს იტევს. მეტი მაყურებელი მოვა?! დიდი სიამოვნებით. ორივე „გვერდითი კედელი“ გადაიხსნება და სცენა გარედანაც ჩინებულად მოჩანს. არ არსებობს საჭადრაკო შეჯიბრება, რომელსაც თბილისის ამ ახალ სამკაულში ვერ ჩაატარებ. იგი თითქოს იმიტომაა აშენებული, რომ ყოველთვის მსოფლიოს ჩემპიონატებს უმასპინძლოს.

ჭადრაკი სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს, მაგრამ მოჭადრაკეები ხშირად „უბინაოდ“ არიან. პარიზის კაფე „დე ლა რეჟანსი“ ურიგო როდი იყო მეთვრამეტე საუკუნისთვის. აქ მოდიოდნენ დენი დიდრო და არტილერიის ახალგაზრდა კაპიტანი ნაპოლეონ ბონაპარტე. მეცხრამეტე საუკუნისათვისაც არ იყო ურიგო ნიუ-იორკის „მანჰატან ჩეს კლაბი“ და „მარშალ ჩეს კლაბი“. ახლა კი თვით ამერიკელი საერთაშორისო ოსტატი ენტონი სეიდი მიიჩნევს, რომ მის ფედერაციას თბილისის ჭადრაკის სასახლის მაგვარი არაფერი გააჩნია.

მოჭადრაკეთათვის ყველაზე მასობრივი შეჯიბრებები ოლიმპიადები გახლავთ. ვინ იცის, რამდენი ჯაფის გადატანა უხდებათ მის ორგანიზატორებს. მთელი წელიწადი ემზადებოდნენ მიუნხენში და ამსტერდამში, დიდძალი ენერგია შეალიეს მის მოწყობას სკოპლესა და ლაიფციგში. განიერი და მშვენიერია ლაიფციგის „რინგ მესემაუსის“ დარბაზები, რომლებიც ოლიმპიადისათვის ერთი თვით იქირავეს. შესანიშნავია ჰააგის საკონცერტო დარბაზი „დირენტოუნი“, სადაც მოჭადრაკეები ამ საუკუნეში სულ ერთხელ შეუშვეს. დიდებულია ბუენოს აირესის თეატრი „სერვანტესი“, მაგრამ მოჭადრაკეები იქაც დიდი გაჭირვებით ხვდებიან არგენტინელებს. მხოლოდ მაშინ გაალეს ამ თეატრის კარები, როდესაც ფიშერი და პეტროსიანი ეწვივნენ.

თბილისელებს არც სხვებთან ხვეწნა სჭირდებათ და არც მთელ წელს მზადება. მათ აქვთ ჭადრაკის სასახლე, უმშვენიერესი მსოფლიოში.

## ვინც ამაგი დასდო

აწ გარდაცვლილი, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე სულ იმას გაიძახოდა, ჩვენს შესანიშნავ მოჭადრაკეებს ღირსეული ბინაც უნდა ჰქონდეთო. ხომ მრავალგზის გვასახელა ჩვენმა განუმეორებელმა ნონა გაფრინდაშვილმა. ისეთი კლუბი უნდა ავაშენოთ, არავისი არ გვრცხვენოდესო. ქართველი მოჭადრაკეები არასოდეს დაივიწყებენ იმ დიდ ამაგს, რომელიც ა. ჭირაქაძემ ჭადრაკის სასახლის აშენებას დასდო. განსვენებული არჩილი იმაზედაც ზრუნავდა, თბილისს ღირსეული ადგილი დაეკავებინა „საჭადრაკო ქალაქთა“ შორის. ეს ოცნებაც ახრულდა. ერთი შეჯიბრება მეორეს ცვლის, მობრძანდით ჭადრაკის სასახლეში! ვის არ ნახავთ აქ! მოსწავლეს, მოსამსახურეს, ჯარისკაცს, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ ადამიანს, მოყვარულსა თუ დიდოსტატს, მიმოწერით მოთამაშესა თუ საჭადრაკო კომპოზიტორს.

პირველ ქართველ ოსტატ ვიქტორ გოგლიძეს ამ პარკში უყვარდა სეირნობა. აქ არ იგრძნობა გაგანია სიცხე, ასე ხშირად რომ ეწვევა ხოლმე თბილისს. გოგლიძე იგონებდა დახუთულ დარბაზებს, სადაც მას თამაში უხდებოდა, ქუჩიდან შემოსულ ხმაურს, მოჭადრაკეს ასე რომ უშლის ხელს.

თბილისის ძველი საჭადრაკო კლუბი ყოფილი ეკლესია გახლდათ. ჩვენს სახიქადულო ვახტანგ ქარსელაძეს მოწაფეებისათვის არაერთგზის უთქვამს, აქ თამაში ყოვლად შეუძლებელიაო. დარბაზს ისეთი აკუსტიკა ჰქონდა, მის ერთ ბოლოში ჩურჩულით ნათქვამს მეორეში აუცილებლად გაიგონებდით. ამასთან მოჭადრაკეებს ერთი ცუდი ჩვეულებაც აქვთ — სვლას რომ გააკეთებენ, მაგიდას სცილდებიან და ერთმანეთს ესაუბრებიან, და აი, ვახტანგ ქარსელაძე ხუმრობდა, ფიქრი აღარ მჭირდება, დაფასთან ვზივარ და სხვების რჩევებს არხეინად ვისმენო.

ფოტო ანზორ გოგოლაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია.

## დიასახლისი

ეს სანდომიანი ქალი ჭადრაკის სასახლის დირექტორი გახლავთ. დედაქალაქის ჟურნალისტები კარგად იცნობენ ლილი წეროძეს. „ლიტერატურული საქართველოსა“ და გამომცემლობის თანამშრომელს, დიდი ენერგიის, ხალისიან ადამიანს, რომლისათვის ჭადრაკის სასახლე სიამაყეც არის და ყოველდღიური მზრუნველობის საგანიც. ვინც ნამდვილი ჟურნალისტია, კარგად იცის, რაოდენ ძნელია ამ პროფესიისთვის თავის დანებება. ჭადრაკის სასახლე, თითქოს ცოცხალი ორგანიზმიაო, ყოველ წუთს მოითხოვს მზრუნველობას და ლილიმაც, ბოლოს და ბოლოს, გააკეთა არჩევანი.

- გაისმის ტელეფონის წკარუნი. დირექტორთან საუბარი სურთ მოსკოველებს, ლენინგრადელებს, რიგელებს, როდესაც რომელიმე საჭადრაკო პირველობა ჩაშლის პირასაა, არსებობს ერთი გამოსავალი — მისი ჩატარება თბილისს შესთავაზეთ! ლილიც ვერავის ეუბნება უარს, — „უზერხულია“. ასე ცვლიან ერთმანეთს საერთაშორისო და საკავშირო ტურნირები, ფესტივალები მრავალი მოჭადრაკის მონაწილეობით. თუ რამდენიმე დღიანი „სარკმელი“ დარჩა, მაშინაც არავინ გასვენებს, თბილისში ხომ ბევრი საერთაშორისო და საკავშირო კონფერენცია და სიმპოზიუმი იმართება.

დიასახლისს ერთი ოცნებაც აქვს, რომლის განხორციელებას გაისად აპირებს. ეს იქნება დიდი შეჯიბრება მიმოწერით. ზიხარ სახლში (შეიძლება სულ არა გაქვს ტურნირში მონაწილეობის საშუალება, ისეთ ადგილას ცხოვრობ, სადაც დიდი შეჯიბრება არ იმართება), იღებ წერილებს, მეტოქეებს წერილით-ვე უპასუხებ. ასეთ ტურნირებს ახლა უამრავი გულშემატკივარი ეტანება. დიახ, ლილი წეროძე აპირებს იგი საქართველოშიც დანერგოს. თქმა არ უნდა, მისასალმებელი ინიციატივაა!

ჭადრაკში საბჭოთა კავშირის 41-ე ჩემპიონატის საზეიმო გახსნა.



## ნონა

როდესაც ნონა გაფრინდაშვილი ლენტს სჭრიდა ჭადრაკის სასახლის გასახსნელად, მრავალრიცხოვან დამსწრეებს ესმოდათ, რაოდენ დიდია მისი დამსახურება ამ უნიკალური შენობის აშენების საქმეში, ბოლოს და ბოლოს, შენობები არასოდეს წყვეტდნენ საქმეს, წყვეტენ ადამიანები. ამიტომაც ის ოვაცია, რომელიც გულშემატკივრებმა ნონას მოუწყეს სასახლის გახსნის დროს, სავსებით დამსახურებული იყო. ნონამ მოიგო პირველივე შეჯიბრება, რომელიც ჭადრაკის სასახლეში გაიმართა — თბილისის ქალთა ტრადიციული ტურნირი. ამას, თუ გნებავთ, სიმბოლიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

ტურნირი ტურნირს მისდევს, ჭადრაკის სასახლე მზად არის ყველას უმასპინძლოს.

გივი გამრეკელი.

## სად როგორ ხვდებიან ახალ წელს

აქვს ბეწვიანი საბანი, ხოლო სახეზე უკეთია თხის ნიღაბი. მეკოლიადეებს ყველა სახლში გულგაშლილად იღებენ და უხვად ასაჩუქრებენ.

იაპონიის ქალაქებსა და სოფლებში ახალი წლის შუაღამეს ტაძრების ზარები 108-ჯერ რეკავენ. ამჟამად ზარების რეკვას გადასცემენ რადიოთი. ზარის უკანასკნელი დარეკვის შემდეგ წვებიან დასაძინებლად, რათა განთიადის წინ ადგომა მოასწრონ, გავიდნენ ქუჩაში და შეხვდნენ ახალ წელს ამომავალი მზის პირველ სხივებთან ერთად. მას, ვინც ვერ მოასწრებს ამ დროისთვის გაღვიძებას, იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, რომ ახალი წელი მისთვის იღბლიანი იქნება.

საახალწლო მაგიდისთვის დიასახლისები აცხობენ ბრინჯის ნამცხვრებს — ოჯახის შეძლებულობის სიმბოლოს, ხარშავენ გრძელ, წვრილ მაკარონებს — ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოს; ამზადებენ მუხუდოს კერძს — ჯანმრთელობის სიმბოლოს. თევზეულობიდან კი არჩევენ კობრს — ძალის სიმბოლოს. იაპონიაში, ძველი გადმოცემით, ბავშვის სურვილი შესრულდება, თუკი იგი ახალი წლის ღამეს ბალიშის ქვეშ ამოიდებს ნახატს იმის გამოსახულებით, რაზეც ოცნებობს. ამიტომ პატარები საახალწლოდ გართული არიან ხატვით.

ვიეტნამში წესად მიღებული აქვთ ახალი წლის ღამეს მეგობრებისთვის აყვავებული ატმის ტოტის მირთმევა. ოჯახები ნათესავ-კეთილებთან ერთად დიდხანს უსხედან ცეცხლს და ერთმანეთს მოუთხრობენ ზღაპრებს, საინტერესო ამბებსა და ისტორიებს.

ასე ფიქრობენ, რომ ვიეტნამელების ასაკს ახალი წლის დღეს (და არა მათი დაბადების დღეს) კიდევ ერთი წელი ემატებათ.

გვინეაში ახალი წლის პირველ დღეს მიღებულია ქუჩებში სპილოების ტარება, ამასთან მცხოვრებლები მღერიან და ცეკვავენ.

ინდოეთში ძველთაგანვე შემორჩენილია ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ახალი წლის დღეს არავინ არ უნდა იყოს გაბრაზებული, გაღიზიანებული ან განაწყენებული, რათა მთელი წლის მანძილზე არ დაეუფლოს ასეთი განწყობილება.

ფინეთში ქალიშვილები ახალი წლის ღამეს მარცხენა მხარს უკან ისვრიან ფეხსაცმელს. თუ იგი ცხვირით კარისკენ დაეცა, ქორწილი იქნება. საახალწლო საჩუქრებს აქ წინდაწინ ალაგებენ მაგიდაზე და ზემოდან აფარებენ ჯამებს.

უნგრულ სოფლებში ახალი წლის წინ დიდხანს მღერიან სიმღერებს. ჭაბუკები დაბინდებისას საპატარძლოების ფანჯრებთან მართავენ საკურო წარმოდგენებს. ქალიშვილები კი, თავის მხრივ, იმ სახლებთან, სადაც საცოლე ბიჭები ცხოვრობენ.

საახალწლო ვახშამი აღინიშნება ტრადიციული კერძით: თაფლიანი ნიორით. ამბობენ, გემრიელიაო!

ჰოლანდიელებთან ახალ წელს სუფრაზე დგამენ დიდ ლანგარს ქიშმიშიანი ფუნთუშებით. შუაღამისას ამ ქვეყნის ნავსადგურებში მდგომი ყველა ხომალდი მოკლე-მოკლე სიგნალებით ხვდება ახალი წლის დადგომას.

მექსიკელებს თავისებური საახალწლო რიტუალი აქვთ. ოთახში, სადაც სტუმრები იკრიბებიან, ჩამოკიდებენ ტკბილეულით სავსე მოზრდილ თიხის ქურჭელს — პინატას, რომელიც მოხატულია ურჩხულებისა და ცხოველების ფიგურებით. სტუმრებს რიგრიგობით უხვევენ თვალებს და აძლევენ ჯოხს. ის, ვინც მოახერხებს პინატას გატეხვას, განსაკუთრებით ბედნიერი იქნება.

ბულგარეთში, როგორც კი უკანასკნელად დარეკავს საათი, რაც ახალი წლის დადგომის მაუწყებელია, ოთახში, სადაც შეკრებილი არიან სტუმრები, აქრობენ შუქს და სუყველა ჰკოცნის ერთმანეთს. დიასახლისები საახალწლო ნამცხვრებში დებენ სუვენირებს. ამბობენ, ვისაც ასეთ ნამცხვარში ჩადებული მონეტა შეხვდება — ახალ წელს მდიდარი იქნებაო, ვისაც ვარდი — ბედნიერი სიყვარულში.

სუდანელებს საახალწლო თილისმად მწვანე ფერი — შემოუხვეელი კაკალი მიაჩნიათ. ყველაზე გულთბილ, ყველაზე სასიამოვნო სურვილად აქ თვლიან მწვანე კაკლის პოვნას.

ინგლისელები ახალი წლის დადგომას არ აღნიშნავენ ხალხმრავალი, ხმაურიანი დღესასწაულით. საახალწლოდ არავინ არავის არ ეპატიჟება, მაგრამ არსებობს დაუწერელი წესი, რომლის მიხედვითაც საახალწლო საღამოს ან ღამეს ყველას უფლება აქვს დაუპატიჟებლად მივიდეს ნებისმიერ ოჯახში სრულიად უცნობ ადამიანებთანაც კი და დიდი პატივისცემითა და ხელგაშლილობით იქნება მიღებული. სტუმარმა უნდა მოიტანოს თუნდაც ნახშირის პატარა ნატეხი, დააგდოს საოჯახო კერაზე და უსურვოს მასპინძლებს, რომ ცეცხლი ამ სახლში დიდხანს, ძალიან დიდხანს ენთოს.

საქართველოში ძველთაგანვე დიდი ზეიმით ხვდებოდნენ ახალ წელს. არ არის ოჯახი, რომ საახალწლო სუფრა არ გაიშალოს. ამდროს განსაკუთრებულ ოსტატობას იჩენენ დიასახლისები. სხვა კერძებსა და ნამცხვრებთან ერთად აკეთებენ ტკბილად დასაბერებელს — გოზინაყს. დასავლეთ საქართველოში ახალი წლის დადგომას ხვდებოდნენ ხილით, ტკბილეულით და რამე-რუმეებით დახუნძლული ჩიჩილაკით, შედლუხით, ფეხბედნიერი კაცის — მეფეხურის ანუ მეკვლეს ოჯახში მოსვლით და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში საახალწლოდ აცხობდნენ წმინდა ბასილს — ადამიანის ფორმის პურს, რომელსაც ჩამიჩისაგან უკეთებდნენ თვალებს. ოჯახის პატრონი ხორაგით სავსე ხონჩით (ტაბლა) შემოუვლიდა თავის კარმიდამოს, ბარაქას და ბედნიერებას ისურვებდა და ამ ხონჩითვე ლოცვა-კურთხევით შედიოდა შინ. აქაც თოფების სროლით ხვდებოდნენ ახალ წელს და დიდი გულითადობით იღებდნენ სახლში მეკვლეს. ყველგან იმართებოდა პურობა-ნადიმები. ამ წეს-ჩვეულებიდან ბევრი შემოგვრჩა, რასაც დაემატა ბავშვების სათაყვანებელი კოპწია ნაძვის ხე და თოვლის პაპა, რომელიც განსაკუთრებული რიხითა და გულითადობით წარმოთქვამს — გილოცავთ ახალ წელს!

სად როგორ ხვდებიან ახალ წელს



ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის საბურველი გადაჰფენია წარსულის დიდების ძეგლებს — მცხეთას, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს. ქარბუქში ძლივს ვარჩევთ ჯვარის ტაძრისა და სვეტიცხოვლის სილუეტებს. თოვლის ნამქერს მიარღვევს ვაჟკაცის მტკიცე ნაბიჯები. გვესმის დინჯი ფეხის ხმა და დიდი მწერლის სიტყვები: „შემოქმედის უდიდესი სიხარული ის არის, თვალნათლივ უცქიროს, თუ როგორ უძლებს მისი სულის ნაშიერი დროის ცვალებადობათა ზღვაურს".

ასე იწყება საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ



# კონსტანტინე გამსახურდია

## დოკუმენტური ფილმი

ახლახან გამოშვებული ფილმი „კონსტანტინე გამსახურდია" (სცენარის ავტორი ზურაბ ქუბაბრია, რეჟისორი შალვა ჩაგუნავა, ოპერატორი ალექსანდრე სემიონოვი).



სვეტიცხოველი... არსაკიძის მარჯვენა, მის მიერ შექმნილი სწორუპოვარი ხელოვნება მწერლის შთაგონების წყარო გახდა.

კონსტანტინე გამსახურდია... კოლხური კოშკი... მწერალი თავის სამუშაო ოთახში ზის და წერს თავისი მადლიანი მარჯვენით. „ათასზე მეტი ღამე ვზივარ, ვზივარ და ვფიქრობ განთიადიდან განთიადამდე... თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები".



მწერლის ეს სიტყვები ორგანულად ერწყმის მეტყველ, შთამბეჭდავ კინოკადრებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფილმის ემოციური ზემოქმედების ძალას.

მწერალი ათვალიერებს თავის ხელნაწერებს, კითხულობს წერილებს, სინჯავს პირად არქივს. მასალებშია ჩაძირული, ფიქრობს და ამ ფიქრებში იბადებიან მისი ახალი გმირები, გმირები, რომელთაც მილიონობით მკითხველთა გულები დაიპყრეს და მსოფლიო არენაზე გავიდნენ.

...მწერალი ისევ წერს, ისევ ათვალიერებს პირველწყაროებს, ხელნაწერებს, გაოცებული შესცქერის ძველი საუკუნეების უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიკურ იეროგლიფებს, „შევცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია, მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო-მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი".



ფილმში ასახულია კონსტანტინე გამსახურდიას ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები. ნაჩვენებია აბაშა, ძველი სენაკი, ზუგდიდი, შემდეგ ქუთაისის გიმნაზია, სადაც მწერალი სწავლობდა.

ქუთაისთანაა დაკავშირებული მწერლის პირველი შეხვედრები აკაკისთან, დავით კლდიაშვილთან, გალაკტიონთან

სტუდენტობის წლები... ევროპაში ყოფნის დროს ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა შეისისხლხორცა მსოფლიო კულტურის საუკეთესო ნიმუშები. კლასიკური გერმანული ფილოსოფია, დანტეს, გოეთეს და სხვა გამოჩენილ შემოქმედთა გენიალური ქმნილებები. ამიტომაც იყო, რომ შემდეგ ქართულ ენაზე ასე უბადლოდ აამეტყველა „ღვთაებრივი კომედია" და „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი".

ფილმში მოთხრობილია მწერლის მრავალფეროვანი ცხოვრება და შემოქმედება. მისი საჯარო გამოსვლები, საიუბილეო სალამოები, ხალხის, მადლიერი მკითხველის უსაზღვრო პატივისცემა მწერლისადმი.

ქართველი ხალხი თავს ევლება თავისი საყვარელი მწერლის წიგნებს... აი, მცხეთელი პიონერების ხელით გადაწერილი „დიდოსტატის მარჯვენა". რამდენი სიფაქიზე და სიყვარული ჩაუქსოვიათ პატარებს ამ შრომაში.

ეკრანზე ცოცხლდებიან მწერლის ნაწარმოებთა გმირები. კონსტანტინე გამსახურდიას თვალწინ ჭაიელვებენ არსაკიძე, თარაშ ემხვარი, კაც ზვამბაია, თამარი, სცენასა და ეკრანზე ამეტყველებული სახეები.

ფილმის შემქმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს კინემატოგრაფიული ხერხებით ეჩვენებინათ ეკრანზე ისტორიული ძეგლები, გარდასულ დროთა მატიანეები, ხალხის უსაზღვრო სიყვარული მწერლის მიმართ.

სურათი მოკლემეტრაჟიანია და, რა თქმა უნდა, ფილმში კონსტანტინე გამსახურდიას მდიდარი ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი ასახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ შემქმნელმა კოლექტივმა შეძლო შეელო მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის სარკმელი, დიდძალი, მდიდარი მასალიდან შეერჩია ყველაზე მთავარი, ყველაზე საინტერესო მწერლის ავტობიოგრაფიიდან, რაც მაყურებლისათვის კიდევ უფრო ახლობელსა და საყვარელს ხდის ჩვენს სახელოვან მწერალსა და მამულიშვილს.

ეთერ ქუთათელაძე









# რა არ ხდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ არ გამიმეტა მაყურებელმა

რა ხანია მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე „მარგარიტა გოტიეს“ როლს ვანსახიერებ. არ მახსოვს ეს სპექტაკლი უცრემლოდ. ვტირი მე და ჩემთან ერთად ტირიან მაყურებლები.

არასოდეს დამავიწყდება რამდენი ცრემლი ჰღვარა ამ სპექტაკლზე ერთ ახალწლის ღამეს ერთმა მაყურებელმა.

ეს მოხდა მესამე მოქმედების დროს... მე, მარგარიტა გოტიე, ვწერ წერილს არმანს... ვეთხოვები მას... ვეთხოვები სიცოცხლეს... ვქვითინებ...

უთუოდ შეამჩნევდით, ჩვენს თეატრში გვერდითი ლოჟები ზედ აკრავს სცენას, იქ, ოდნავი გაფაჩუნებაც კი ესმის მსახიობს. უეცრად ლოჟიდან ხმამაღალი ქვითინი შემომესმა და თვალი ლოჟისაკენ გამექცა. ვხედავ, ლოჟის წინა რიგში, მარჯვენა კუთხეში მიყუჟულა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მოსული ვაჟკაცი და დაუფარავად ზლუქუნებს.

...თამაში გავაგრძელე... ჰა და ჰა, უნდა მოვკვდე... ვკვდები. ლოჟიდან უფრო ხმამაღლა გაისმა ზლუქუნი. ზლუქუნი გაძლიერდა, გაძლიერდა და კაცი ახლა დასაკლავი ხარივით აბღავლდა.

მაყურებელი აწრიალდა... ტირილი, სიცილი, ყველაფერი ერთმანეთში აირია. სპექტაკლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, თვალებით მოვძებნე კულისებში მდგარი რეჟისორის თანაშემწე და ვანიშნე: — ფარდა დახურეთ-მეთქი.

ფარდა დაეშვა.

ხუთი წუთის წინ სათნო მარგარიტა, მტირალი, მომაკვდავი, ახლა სცენაზე ვიდექი და გაანჩხლებული ვეძახდი ადმინისტრატორს:

— მომაცილეთ ის კაცი ლოჟიდან, ხელს მიშლის, მე ასე ვერ გავაგრძელებ, მომაცილეთ-მეთქი!

სამხედრო ამ დროს თურმე თავზე წამომდგომოდა, ჩემს გვერდით მოწაფესავით ატუზულიყო. თვალებდასიებული გულაჩუყებული მიამბობდა:

— მერწმუნეთ, ქალბატონო ვერიკო, არ მინდოდა, როგორ არ ვეცადე და თავი ვერ შევიკავე, რა ვქნა, ვერ გაგიმეტეთ... ამ ახალ წელიწადს ცრემლიც რომ დავიბედე... ბატონო, ძალიან ვწუხვარ, რა გაუგებრობა, უნდა დამიჯეროთ, თეატრი...

...ტრაგედია გავაგრძელეთ.

...სცენა... ისევ მარგარიტა... საწოლი... ვკვდები...

მომხდარი ინციდენტით შეშინებული მაყურებლის სუნთქვაც არ ისმის, რომ უეცრად სიჩუმე ისევ დაარღვია ვიღაცამ. დარბაზში მამაკაცის თავშეკავებული, დაგუბული ტირილი გაისმა.

ცნობისმოყვარეობამ დამძლია და თვალი კვლავ ლოჟისაკენ გავაპარე.

სამხედრო პირი ლოჟაში არ იჯდა. ადმინისტრატორს იგი შინ არ გაუშვია, მაგრამ ლოჟაშიც აღარ დასვა. იგი ახლა პარტერის უკანასკნელ რიგში იჯდა და კვლავ გულამომჯდარი ზლუქუნებდა.

ვერიკო ანჯაფარიძე

## დარტყმა!.. არის!

ერთხელ ფეხბურთის ერთმა გულშემატკივარმა მისაყვედურა:

— მოსკოვში ვისმენდი თქვენს გადაცემას, თბილისელებმა თერთმეტმეტრიანი დაარტყეს. „დარტყმა... არის!“ — თქვით და რეპორტაჟი გააგრძელეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ არა მარტო დიასახლისები და დილეტანტები გისმენენ, არამედ ფეხბურთის სპეციალისტები, თვით ფეხბურთელები და, აგრეთვე, ფეხბურთში ჩინებულად გარკვეული გულშემატკივრები. მათ უნდათ იცოდნენ რომელ კუთხეში დაარტყა ფეხბურთელმა პენალტი, მარცხნივ თუ მარჯვნივ, ზევით თუ ქვევით? რომელი ფეხით დაარტყა? ტერფით დაარტყა, თუ ფეხის წვერით? ძლიერად დაარტყა, თუ სუსტად? შემდეგ, მეკარის მოტყუება სცადა, თუ დარტყმის ძალასა და ბურთის სისწრაფეს ენდო? აი, ხედავთ, რამდენი რამე უნდა განმარტოთ. თქვენ კი მოკლედ ამბობთ: „დარტყმა... არის“! ნუ გეწყინებათ, მაგრამ ეს შენიშვნა უნდა მიიღოთ...

სახტად დავრჩი, ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა. გადავწყვიტე, პირველი რეპორტაჟისთანავე გამეთვალისწინებინა შენიშვნა და შეცდომა გამომესწორებინა. ჩინებული შესაძლებლობაც მომეცა: პირველსავე შეხვედრაზე მიხეილ მესხი საჯარიმო მოედანზე „მოცელეს“ და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. გადაცემა რუსულ ენაზე იყო, საკავშირო რადიოს დაკვეთით. ზუსტად, დეტალურად აღვწერე ყველაფერი — კუთხე, დარტყმის ძალა და სხვა... ერთი სიტყვით, აბსოლუტურად ყველაფერი. შეხვედრის დამთავრებისთანავე ტაქსში ჩავჯექი და შინისკენ გავემართე. მთელი გზა ხანშიშესული მძღოლი ალმაცერად მიყურებდა, ხმას კი არ იღებდა. როცა სახლთან მანქანის გაჩერება ვთხოვე, მძიმედ ამოიხვნეშა და მითხრა:

— ეჰ-ჰე-ჰე... არ გეკადრებათ, ჩემო კოტე, არ გეკადრებათ!..

— რაზე ბრძანებთ, ბატონო?

— დღეს მორიგე ვარ და ამიტომ მანქანაში ვისმენდი თქვენს გადაცემას.

— მერე?

— ასე თუ გავეცით ჩვენი საიდუმლოებანი, რაღა გამოვა! მოსკოვის ყველა გუნდი ისმენდა, ალბათ, დღეს თქვენს გადაცემას. თქვენ კი თქვით, სლავა მეტრეველმა აგერ უკვე ზედიზედ მეოთხე პენალტი დაარტყა მეკარისაგან მარჯვენა, დაბალ კუთხეშიო. რომელი მეკარე არ მოისმენდა და არ გაითვალისწინებდა თქვენს სიტყვებს. არ გეწყინოთ, მაგრამ თუ მომავალში სლავას პენალტი აიღეს, პირადად მე თქვენ ჩაგთვლით დამნაშავედ. ეჰ-ჰე-ჰე!

პასუხს აღარ დაელოდა და მანქანა დაძრა.

ვიდექი დამნაშავესავით დავჩაქინდრული. ათასი ფიქრი ამიშალა ამ ორმა, ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტმა.

ერთხელ, ოდესის „ჩერნომორეცთან“, ჩვენებმა თერთმეტმეტრიანი დარტყმის უფლება მოიპოვეს. სლავა მეტრეველმა ბურთი გაასწორა და დასარტყმელად მოემზადა. უეცრად, ვ. ლობანოვსკი ადგილს მოწყდა, მეკარე გოროდენკოსთან მიირბინა და რაღაც გადაუჩურჩულა. მე გამაცივა — არ ვიცი, რა უთხრა ვ. ლობანოვსკიმ მეკარეს, მაგრამ ყველამ კარგად დაინახა, რომ მსაჯის სასტვენისთანავე გოროდენკო მარჯვენა დაბალ კუთხეში გადახტა და იქ დახვდა ბურთს. ეს იყო სლავა მეტრეველის მიერ „გაფუჭებული“ პირველი პენალტი. პენალტი ვის არ გაუფუჭებია, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ მეკარე გოროდენკომ წინასწარ იცოდა დარტყმის მიმართულება და დაბარებულივით დახვდა ბურთს.



კოტე მახარაძე



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ვახტანგ სიხარულიძეს თავისი მოთხრობისათვის მართლაც რომ შესაფერი სათაური მოუნახავს — „ეკლიან მავთულხლართებში“.

ავტორისათვის წიგნში მოთხრობილი ამბავი არავის არ უამბნია და არც ძველ ჟურნალ-გაზეთებში ამოუკითხავს. ეს მან თვითონ განიცადა, თვითონაა მნახველი და მონაწილე იმ ჯოჯოხეთური და გულშემზარავი ამბებისა, რომლებიც, შეიძლება, რამდენიმე საუკუნის შემდეგ წიგნის მკითხველებს ზღაპრადაც მოეჩვენოთ.

ამა თუ იმ ქვეყნის ომის ისტორიას შემოუნახავს მრავალი გმირის სახელი, მაგრამ ისინი მთელს ქვეყანაში რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა. ჩვენს დროში კი დივიზია იქნება ეს, თუ რომელიმე განაყოფი, იმდენი გმირი ჰყავს, რამდენიც ძველ დროში მთელ სახელმწიფოს ჰყავდა. ისინი სიკვდილსა და წამებას არ უშინდებიან, იციან, რაც მოელით, მაგრამ იარაღს მაინც არ ჰყრიან, მტერს მაინც არ ნებდებიან, ვინაიდან იციან, რომ იბრძვიან კაცობრიობის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის, მშობლებისა და შვილების თავისუფლებისათვის.

ამ დოკუმენტურ მოთხრობაში ჟურნალისტი ვახტანგ სიხარულიძე ძალიან თავდაჭერით, მორიდებითა და უპრეტენზიოდ მოუთხრობს მკითხველს იმ კოშმარულ ამბებს, რომლებიც მას და მის ფრონტელ მეგობრებს გადახდათ თავს აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროებიდან შორეულ რუმინეთამდე. ვის არ აალელვებს ფრონტზე და ტყვეობაში ნატანჯი ჟურნალისტ ელიოზ ხუციშვილის სიტყვები, რომელიც სიკვდილს თვალებში უცქერის, სიარული არ შეუძლია, სუნთქვა უჭირს, იცის, რომ სამშობლოში ველარ დაბრუნდება, მაგრამ სამშობლო და მისი სალოცავი ცოლ-შვილი მომაკვდავს მაინც აგონდება.

— „დაე, იმათ იცოცხლონ. ჩემი დანაკლისი დღეები ჩემს გურამს შემატოს ღმერთმა“, — თქვა ელიოზმა, თვალებზე ცრემლი მოადგა და გაჭირვებით გადაბრუნდა მეორე გვერდზე“, — მოგვითხრობს ამ სურათის მნახველი ავტორი. ანდა ვინ დაივიწყებს წიგნში მოთხრობილ იმ საინტერესო და გმირულ ეპიზოდს, რომელიც ჩაიდინა ვლადიმერ ძოწენიძემ. მან გესტაპოს გამოცდილ ჯალათებს გზა-კვალი აუბნია და რამდენიმე საბჭოთა მეომარი და ოფიცერი სიკვდილისაგან იხსნა. ძოწენიძემ ამით თავის თავი მძიმე საფრთხეში ჩაიგდო, მაგრამ ამას არ შეუშინდა და ივანე ვასილიევი და მრავალი სხვა მეომარი სიკვდილსა და ტანჯვა-წამებას გადაარჩინა. აი, რა საინტერესოდაა ეს ეპიზოდი წიგნში მოთხრობილი.

„ძოწენიძე — თქვენთან დაპატიმრებულია ინტენდანტი ივანე ვასილიევი.

გესტაპოს რწმუნებული — თქვენ იცით რაიმე მის შესახებ?

ძოწენიძე — მას ოც წელიწადზე მეტია ვიცნობ.

გესტაპოს რწმუნებული — იგი დიდხანს მუშაობდა შინსახკომში?

ძოწენიძე — რასა ბრძანებთ, ვასილიევი უპარტიოა, აბა არაკომუნისტს ვინ შეუშვებს შინსახკომში? იგი ბუღალტერია, ფინანსისტი, ჯარშიც ერთად ვმსახურობდით — ჩვენი ნაწილის ფინანსებს განაგებდა.

გესტაპოს რწმუნებული — რაღაც არ მჯერა თქვენი ნათქვამი.

ძოწენიძე — ამას აქ, თქვენს ბანაკში მყოფი რამდენიმე ადამიანი დაადასტურებს“.

გარდა ამისა, ავტორს წიგნში დასახელებული ჰყავს მრავალი მებრძოლი, რომლებმაც სახელოვნად განვლეს სამამულო ომის მძიმე გზა და სამშობლოს წინაშე გმირულად მოიხადეს ვალი, შეინარჩუნეს სულის სიმტკიცე, სიმამაცე და სამშობლოს უზომო სიყვარული. ესენი არიან დევი ნიჟარაძე, ბატარეის კომისარი ნოე მენთეშაშვილი, ბატალიონის კომისარი ამბროსი რამიშვილი, რომელიც მტრის კონტრდაზვერვის ჯურღმულებში გაზის კამერაში დაიღუპა, ცნობილი ჟურნალისტი და მთარგმნელი მოსე ქარჩავა, ნიკო ავალიშვილი, ვასილ ფხაკაძე, დიმიტრი თავაძე, გიორგი ლეჟავა, ტრიფონ კობერიძე, ვახტანგ სიხარულიძე. აი ესენი იყვნენ რუმინეთში არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციის აქტიური წევრები, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეულ საბჭოთა ტყვეებს შორის დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გასწიეს და იმას მიაღწიეს, რომ მტერს თავის მხარეზე ვერც ერთი ვერ გადაებირებინა.

ომში დაღუპულთა შორის ავტორი ასახელებს პრესის ძველ მუშაკს ალექსანდრე გვინჩიძეს, რომელიც ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ამ ჩუმ და კეთილ ადამიანს მე ჯერ კიდევ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან ვიცნობდი, მქონდა მასთან მეგობრული ურთიერთობა, შემდეგ კი ერთად ვსწავლობდით უმაღლეს სასწავლებელში. ალ. გვინჩიძეს ფანატიკურად უყვარდა ჟურნალისტური საქმე და წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მას. როგორც ცნობილია, ჟურნალ-გაზეთების ბევრმა მუშაკმა, ,მწერალმა და ჟურნალისტმა მონაწილეობა მიიღო სამამულო ომში, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე კრებულად დაიბეჭდოს მათ შესახებ წერილები და მოგონებები და აგრეთვე მათი ნაწერები, კორესპონდენცია იქნება ეს, ნარკვევი, ლექსი, თუ მოთხრობა.

ვახტანგ სიხარულიძის წიგნი—„ეკლიან მავთულხლართებში“, ჭეშმარიტი და ცოცხალი ისტორიაა დიდი სამამულო ომისა, მან თავის წიგნში მრავალი მებრძოლის სახელი აღადგინა, სიყვარულით მოუთხრო მათ პატრიოტიზმსა და გმირობაზე, დაუბრუნა ჩვენი ქვეყნის სამამულო ომის ისტორიას მათი უკვდავი სახელი. ზოგი მათგანი დღეს ცოცხალია და ვაჟკაცურად იბრძვის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უბანზე, ბევრი კი გმირულად დაიღუპა დიდ სამამულო ომში.

**ალექსანდრე სიგუა**

# „ეკლიან მავთულხლართებში“

# დამაკვირდი

ჩვენი დედამიწა მხოლოდ ერთი ციცქნა ვარსკვლავია, მაგრამ თუ მოვისურვებთ, შეგვიძლია გადავაქციოთ პლანეტად, რომელიც თავისუფალი იქნება ომებისაგან და რომელსაც ვერ დათრგუნავს შიში, შიმშილი, კანის ფერი და მსოფლმხედველობათა სხვაობა. **ბენე**

ქვეყნიერება გარემოცულია რევოლუციით, რომლისგან დოლარებით დახსნა შეუძლებელია. **უილიამ დუგლასი.**

მსოფლიო სარკეა, რომელიც ყოველივეს უბრუნებს მის საკუთარ გამოსახულებას. **თეკერეი.**

სამყაროს შემეცნება და მისი შეყვარება — ორი ამოცანაა, რომლის ერთმანეთთან შერიგება არც თუ ისე ადვილია. **ემერსონი.**

არსებული სამყარო — ეს ფანტაზია არ არის. არ შეიძლება განუსჯელად მოეკიდო მას — როგორც ფანტაზიას. **ემერსონი.**

ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც თვითონ მას ემორჩილება. **ბეკონი.**

ბუნება — ერთადერთი წიგნია, რომლის ყოველი გვერდი სავსეა ღრმა შინაარსით. **გოეთე.**

ბუნება არ ცნობს ხუმრობას; ის ყოველთვის ჭეშმარიტია, სერიოზული, მკაცრი, მართალი, შეცდომები კი გამომდინარეობენ მხოლოდ ადამიანებისაგან. **გოეთე.**

ბუნებას არ აქვს მეტყველების ორგანო, მაგრამ ქმნის გულსა და ენას, რომლის საშუალებითაც ლაპარაკობს და გრძნობს. **გოეთე.**

ბუნება მარადიული ორსახოვნებაა. **ჰიუგო.**

მხოლოდ ბუნებას შეუძლია მოგანიჭოს ჭეშმარიტი სიამოვნება. **დრაიდენი.**

ბუნება ვერ იტანს სიცრუეს. **კარლეილი.**

ბუნებაში ყოველ დროს თავისი პოეზიაა. **კიტსი.**

ყველაფერზე, რაზედაც ბუნება მუშაობს, მუშაობს აუჩქარებლად. **ლამარკი**

მარად ცოცხალ ბუნებას ერთის ნანგრევები ყოველთვის სჭიროდა მეორის სიცოცხლისათვის. **ლესინგი.**

# სადაც არის ბედი შენი...

იუმორისტული მოთხრობა

ავი ძაღლივით იკბინება მზე. სოფელს ალმური ასდის. კოლმეურნეები პირწმინდად გაკრეფილან ბაღ-ვენახებში. სოფლის ცენტრში, კლუბთან, სამ ახალგაზრდა კაცს მოუჩრდილავს. ერთ-ერთი მათგანი ქანდაკებისაგან იმით განსხვავდება, რომ მზესუმზირას აკნატუნებს. ქათმების გულმოსულმა კრიახმა ზეზეურად მძინარე ახალგაზრდები გამოაღვიძა. ქანდაკების წინ მსუბუქი ავტომანქანა დამუხრუჭდა. იქიდან წვერულვაშიანი და უწვერულვაშო მამაკაცები გადმოცვივდნენ.

— აქაური ხარ? — ჰკითხა წვერულვაშიანმა ქანდაკებას.

— ჰო! — და პასუხთან ერთად, მან მზესუმზირა გააკნატუნა.

— სად მუშაობთ? — საუბარში ჩაერია უწვერულვაშო.

— არსად!

— აი, ასეთი სტატისტი გვინდა, პირდაპირ მიგნებაა, — გადაულაპარაკა უწვერულვაშომ წვერულვაშიანს.

ქანდაკებამ წარბები შეჰკრა და კიდევ ერთი სიცოცხლის ნიშანწყალი გამოავლინა.

— თქვენი სახელი?

— შაქრო.

— ჩვენ ფილმის გადამღები ჯგუფი ვართ, მე რეჟისორი გახლავართ, ეს კი, — მიუთითა წვერულვაშიანზე უწვერულვაშომ, — კინოოპერატორია. გვინდა, ერთი ეპიზოდური როლი გათამაშოთ!

შაქროს თვალები აენთო. ამოძრავდა. გაწითლდა კიდეც.

— რას იტყვით?

— აბა რა ვიცი? ეგრე იყოს.

მეორე დღეს ალაგ-ალაგ დაკერებული შარვლით, ჩამოძენძილი ჩოხით, შაქრო ბარით ხელში, ოპერატორის წინ იდგა.

— მაშ ასე: შენ ერთი საწყალი გლეხი ხარ, გამოქცევიხარ ბატონყმობის უსამართლობას, არაფერი გაბადია მაგ ბარის გარდა, დღე და ღამე მუშაობ, წყალი და გამხმარი პურია შენი საზრდო. ბარვა თუ იცი?

— ვისწავლი!

ვისწავლი რომელია, ოღონდაც გამოჩნდეს ფილმში, მისი გვარი და სახელი დაიწეროს ეკრანზე... მას თვალწინ წარმოუდგა დიდი აფიშა, ქვემოთ მსხვილი ასოებით აწერია: „მთავარ როლში შაქრო ლელვიაშვილი“. აფიშას მაყვალა მისჩერებია...

— ერთი რამე კი მაფიქრებს, — უკმაყოფილოდ თქვა რეჟისორმა, — აგარაკიდან ჩამოსულ კაცს გავხარ, გალაჟღაჟებული... შრომის დაღის ნატამალიც კი არ გატყვია.

— დღე და ღამე ყირამალა დავდგები, ილაჯს გავიწყვეტ, ოღონდაც თქვით და...

— მაშ, დავიწყოთ!

ოპერატორმა ადგილი შეარჩია. მოემზადა. შაქრომაც არ დააყოვნა და ბარვას შეუდგა: ბელტს ბელტი მიაყოლა და ფიქრს — ფიქრი:

...აფიშასთან მაყვალა დგას, შაქროს სურათს ალმაცერად უყურებს, სხვა გოგოები კი თვალს ვერ აშორებენ.

— ჰეეე! — ესმის შორიდან შაქროს, — დაისვენე. ოთხი საათია, თავი არ აგიღია, ჩვენ გვინდოდა მაგ ხესთან პატარა მოგეჩრდილა, ოფლი მოგეწმინდა, მერე დოქით წყალი დაგელია და ისევ შედგომოდი ბარვას. პეიზაჟის გადაღებით გავერთეთ, ახლა აი, მეორე კვალი დაიწყე, თორემ არ გამოვა! გესმის? დამაჯერებელი არ იქნება!

შაქრომ ისევ დაჰკრა ბარი. ბელტი ბელტს მიაყოლა. ფიქრები — ფიქრებს: მაყვალა ბილეთს დაეძებს... სად არის ბილეთი? ერთი კვირით ადრე გაიყიდა... და, და, და, და, რა ამაყია! მაინც არ უნდა სთხოვოს შაქროს. აი, შაქრო გამოჩნდა კინოთეატრის წინ. ხალხი შემოესია, ნამეტნავად — გოგოები, ლამაზმანები იერიშზე გადადიან, ერთმა აკოცა კიდეც. მაყვალა? ჰმ, მაინც არ ეკარება...

— შეჩერდი, შეჩერდი! — ესმის ოპერატორის ხმა შაქროს, — გადაღება შეწყვეტილია, ძალიან მოიღრუბლა... ხვალ, დილიდან გავაგრძელებთ.

სიამოვნებით დარჩებოდა შაქრო იმ სავარგულზე, ღია ცის ქვეშ. თვალსაც არ მოხუჭავდა დილამდე, ბარს ხელიდან არ გააგდებდა, როგორც რეჟისორმა უთხრა, უფრო დამაჯერებელი რომ გამოსულიყო მისი როლი. ეგრეც იზამს, დილით რიჟრაჟზე წავა საბარავად, ოფლში გალუმპული დახვდება რეჟისორსა და ოპერატორს.

რა დაფარული ოცნება აუხდა! ეს რა მეხი დაეცა. არც ახლა შეტოკდება მაყვალას გული?

ცა რომ განაცრისფერდა, შაქრო სავარგულისაკენ მიიჩქაროდა... დაჰკრა ბარი, ბელტი ბელტს მიაყოლა, ფიქრი — ფიქრს:

დახე, დახე! მაყვალა მაინც არ იყურება მისკენ, გაზეთის ყოველ ნომერში შაქროს სურათებია: მაყვალა აინუნშიაც არ აგდებს... მაგის მშობლების ბრალია, ახლაც იმას გაიძახიან, შაქრო ზარმაცი მუტრუკიაო.

სავარგული მაღლობზეა და სოფელი ხელისგულივით მოჩანს. „სად არიან, კაცო? მეცხრე კვალი გავიტანე, ხომ არ გადაიფიქრეს? ვაი, რა ბურუსივით ქრება ოცნებაში ვარდყვავილებით ნაქარგი ხალიჩა?“ აჰა, აი, მათი მანქანაც! ასანთის კოლოფისხელაა, ორი წუმწუმა გადმოვიდა კოლოფიდან, ერთი, ალბათ რეჟისორია, მეორე — ოპერატორი, აქამდე ფეხით რომ ამოვიდნენ, ორი საათი მაინც უნდათ, დაჰკა ბარი, ბიჭო შაქრო! მაგათ მოსვლამდე ქანცი გაიწყვიტე! „უფრო დამაჯერებელი იქნება“, — აგონდება რეჟისორის სიტყვები.

— წუხელ სმა შეგვხვდა და იმიტომ დავიგვიანეთ, — თავი იმართლა რეჟისორმა, — სამაგიეროდ ამ შრომას აგაცდენთ, დაისვენე, დღეს ჩვენ სოფელს გადავიღებთ, ხვალ კი ერთ ხუთ კაცს მოგახმართ, უკვე ვთხოვეთ წუხელ ახალგაზრდებს, არადა, მთლიანად თუ არ დაიბარა, კადრი წააგებს, სხვა სილამაზე აქვს დაბარულ მიწას.

— ამის დაბარვას რად უნდა ხუთი კაცი? ორ დღეში შევჭამ.

— ცოდო ხარ, თორემ ისე, იცოცხლე, ასე აჯობებს...

შაქრომ დაჰკრა ბარი, დაიწყო ისევ ხალიჩის ქსოვა:

...თვითმფრინავი აეროდრომზე ელოდება. „შენა ხარ, შაქრო?“ ეკითხება მფრინავი და თან გაზეთს აკვირდება, — „ჰო შენ ყოფილხარ, შე მუდრეგო შენა! მაშ ჩაჯექ და გავფრინდეთ!“ მოსკოვის აეროდრომზე ტევა არ არის...

— შეისვენე, შეისვენე! — ესმის შაქროს რეჟისორის ხმა და ჩერდება.

— ახლა წყალი დალიე და მერე გააგრძელე!..

...შაქრო ისევ იწყებს ბარვას, ფიქრები ისევ არ ასვენებენ:

...მაინც რამ შეჰყარა ასე ერთად ამდენი კინოვარსკვლავი? ე ვილა, ხელს რომ უქნევს? რა უნდა ნეტა? შაქროს ხვდებიან? — აჰა, უყურე ერთი, ტელევიზიით გადასცემენ ამ შეხვედრას სოფელში. ე, რა ქნა, კაცო, მაყვალამ? გამორთიშა ტელევიზორი.

— შენ გადაგვრევ და ეგ არის. რა გაშმაგებით მუშაობ? — ფიქრებიდან აფხიზლებს შაქროს რეჟისორი. — გვეყოფა, ხვალ გავაგრძელებთ. წავიდეთ!

ვერც იმ დილით დაასწრო მზემ შაქროს გაღვიძება...

— აი, ეს მომწონს! — რამ დაგაბარინა, ბიჭო, ამხელა მიწა? ოჰო, ოფლიც მოგსვლია, ძარღვებიც დაგბერვია, აი, ახლა სახეც გატანჯული გაქვს.

მერე სამი თეთრჩოხიანი მამაკაცი მოვიდა, სამივეს ხელში მოკლეტარიანი და გრძელლვედიანი მათრახები ეკავა. გათოკეს შაქრო და მათრახები დასცხეს.

— ეს უკანასკნელი კადრია, — აუხსნა რეჟისორმა შაქროს, — ისე კარგად გამოვიდა, შენ ბედად, გამეორება აღარ გვჭირდება, პატარა კი მოგხვდა, მაგრამ არა უშავს, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს. აბა, აწი შენ იცი, თუ არ დაგვკარგავ, მოდი ხოლმე ჩვენთან. აქ ცოტა ხანს კიდევ ვიქნებით, ხომ იცი, სადაცა ვართ გაჩერებული?

— ვიცი, როგო არ ვიცი...

* * *

ვერა და ვერ მოიგო მაყვალას გული შაქრომ, ვერც პრემიებით, ვერც სახელით, ვერც უცხოური მანქანებით. „ფიქრშიაც რომ ვერ გავტეხე? ქრისტესავით ჯვარზე ვყავარ გაკრული, სიზმარში მაინც ჩამამხსნას მაგ უღმერთომ“, — ფიქრობს შაქრო.

ერთი კვირის შემდეგ მიაკითხა შაქრომ რეჟისორს.

— აქეთ ვიყა და შემოვიარე, — როგორა საქმე, მალე გაუშვებენ კინოს? — ეკითხება შაქრო.

— ვერ გაგახარებ, ძალიან შეგვიმცირეს ფილმი, ის კადრი, სადაც შენა ხარ, სულ ამოიღეს, ძალიან ნატურალისტური გამოვიდა, თუმცა შრომას აგინაზღაურებენ...

აღარაფერი ესმის შაქროს, ძველ, პეწდაკარგულ ბუტაფორიულ ქანდაკებასავით დგას, მერე ლასლასით ბრუნდება შინ. ეჯავრება ყველა, გარდა მაყვალასი, მაგრამ ეს რა არის? ტკბილი სიზმარია თუ ცხადია? მაყვალა მისი სახლის ჭიშკრისაკენ მიდის, შაქრო რომ დაინახა, მისკენ გამოიქცა. თვალები უცინის და შაქროს ხელში გაზეთს აჩეჩებს, ეს ხომ შაქროა, მისი სურათია, რამხელა დაუბეჭდავთ!

„საქონელიც კი ვერ ადიოდა საბალახოდ წვერმინდორაზე, ეს ნოყიერი მიწა მიუდგომელ კუნძულივით იყო სოფლისათვის, — წერს გაზეთი, — მაგრამ არ არსებობს სიძნელე, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა ვერ დასძლევს. და, აი, ჩვენი სოფლის მკვიდრმა, შაქრო ლელვიაშვილმა, რომელმაც შარშან მიიღო სიმწიფის ატესტატი, ითავა ეს რთული და საპატიო მოვალეობა. მან სარეკორდო დროში გადაბარა 2 ჰექტარი სავარგული და კოლმეურნეობას შესძინა შესანიშნავი საბოსტნე. ბარვა მაღალხარისხოვნადაა ჩატარებული და ახლა ჩვენი მებოსტნეები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

დღეს შაქრო ლელვიაშვილი სოფლის გმირია. ბარაქალა შენს მარჯვენას, შაქრო!“

— ჩვენებს ძალიან გაეხარდათ, — მორცხვად ჩაილაპარაკა მაყვალამ. შაქრომ გაუბედავად მოჰკიდა ხელი ხელზე და მაყვალაც უხმოდ გაჰყვა „სოფლის გმირს“ მისი სახლისაკენ.

კვირის თავზე რეჟისორი და ოპერატორი ხელისმომკიდისა და ნათლიის როლში იყვნენ.

ბარი მეტრეველი.

# ნაირ-ნაირი



### პოეზიის 60 საათი

19 წლის იუგოსლაველმა სტუდენტმა სუად ბილალოვიჩმა ამას წინათ დაამყარა ახალი „მსოფლიო რეკორდი“. ქალაქ ბრსკოში იგი სამოც საათს შეუსვენებლად კითხულობდა სხვადასხვა ავტორის პოემებს.

მრავალრიცხოვანი აუდიტორია ტაშის გრიალით შეეგება „ჩემპიონს“, რომელიც ძალაგამოლეული ჩაიკეცა ადგილზე.



### გაქუცული ქუდი

ხალხმრავალ აუქციონზე, რომელიც ამას წინათ მიუნხენში მოეწყო, გასაყიდად წარმოდგენილი იყო ერთადერთი ნივთი... ადოლფ ჰიტლერის გაქუცული ქუდი.

აუქციონის ორგანიზატორებმა ქუდს ზღაპრული ფასი დაადეს. მუშტარი მაინც გამოჩნდა. უდღეური ფიურერის ქუდი 5 ათას მარკად გაიყიდა



### ცხოვრება უნდა შეგექლოს!

ეს ამბავი ლონდონის ერთ-ერთ ლომბარდში მოხდა. ერთხელ, დილით ლომბარდში ახალგაზრდა კაცმა მიირბინა, ძვირფასი ფოტოაპარატი დააგირავა და იქვე, მეორე სარკმლიდან განვადებით გაიტანა საქორწილო ბეჭედი.

დღის მეორე ნახევარში ახალგაზრდა კაცი ახლადმოყვანილ ცოლთან ერთად მოვიდა ლომბარდში, დააგირავა საქორწილო ბეჭედი, დაიხსნა ფოტოაპარატი და მეუღლესთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღო.

ახალგაზრდა კაცმა საღამო ხანს მესამედ მოირბინა ლომბარდში, დააგირავა ფოტოაპარატი, ცოლის საქორწილო კაბა და მეუღლესთან ერთად საქორწილო მოგზაურობაში გაემართა.

ლომბარდის მოხელემ, რომელიც ყველაფერს ხედავდა, აღტაცებით შესძახა:

— აი როგორ უნდა შეგეძლოს ცხოვრება!



### უნიკალური მუზეუმი

მორავიაში, ახალი იჩინის სასახლეში გახსნილია ევროპაში ერთადერთი ქუდების მუზეუმი.

მუზეუმში გამოფენილია ყველა დროისა და მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ქუდები, მათ შორის ქართული ქუდების ნიმუშებიც.

აქვეა გამოფენილი მანქანები და სხვადასხვა მოწყობილობები, რომლებიც ქუდების შეკერვა-დამზადებას სჭირდება.

ჟურნალის ამ ნომერს თან ერთვის 1974 წლის კალენდარი.



### ოპტიმისტი

107 წლის იტალიელ პედრო და სილვას სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ციხეში ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

მსჯავრდებულის ადვოკატმა იტალიის პრეზიდენტს სთხოვა შეეწყალებინა საუკუნეს გადაცილებული მოხუცი და რამდენიმე წლის პატიმრობა მაინც ჩამოეკლო მისთვის.

— როცა ციხიდან გამანთავისუფლებენ, — განუცხადა კორესპონდენტებს პედრო და სილვამ, — დაუყოვნებლივ დავქორწინდები 23 წლის ქალიშვილზე, რომელიც ციხეში გავიცანი და თავდავიწყებით შემიყვარდა.



### კანონის ძალა

ავსტრალიის საბაჟოს მოხელეები მთელი თვის მანძილზე უარს აცხადებდნენ გარდაცვლის ოფიციალური აქტის გარეშე მიეღოთ მუმია, რომელიც ინგლისის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მიჰყიდა მელბურნის უნივერსიტეტს.

საბაჟოს მოხელეებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია მუმიის ხნოვანებას — 6 ათას წელს.

რას იზამთ, კანონი კანონია! საგანგებო ექსპერტი იძულებული გახდა გაეცა ცნობა იმის შესახებ, რომ 60 საუკუნის წინათ გარდაცვლილი ადამიანი ნამდვილად გარდაცვლილი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ბავშვი ხატავს! და აი ამ, თითქოსდა ბავშვისათვის ჩვეულებრივ მოქმედებას, ხატვას, ძერწვას აუცილებლად ესაჭიროება ხელშეწყობა და წახალისება.

ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ბავშვების ნახელავის ექსპონირება, მათი შემოქმედების გამოფენაპოპულარიზება. ასეთი გამოფენები ბავშვს საშუალებას აძლევს იხილოს თავისი თანატოლების მიერ შექმნილი ნამუშევრები, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სახეში შესრულებული ნიმუშები.

ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენას აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახვითი ხელოვნების მასწავლებლებისათვისაც. მასწავლებელს საშუალება ეძლევა დაინახოს, რა დონეზეა სახვითი ხელოვნების სწავლება სკოლებში, რა არის ახალი სწავლების მეთოდიკაში, რომელია უფრო საინტერესო მიმართულება და ასე შემდეგ.

ბავშვების ნამუშევრების ხილვა სასარგებლოა ყველასათვის, ამ ნამუშევრებში ჩანს ბავშვის უშუალობა, კეთილშობილება, სიცოცხლის სიყვარული.

დღეს პროგრესული კაცობრიობა უდიდეს ინტერესს იჩენს ბავშვთა შემოქმედების მიმართ. ამაზე მეტყველებენ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები, რომლებიც ხშირად ეწყობა ჩვენში და საზღვარგარეთ.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. ამასწინანდელმა გამოფენამ ბევრი ნიჭიერი ბავშვი — მხატვარი გამოავლინა. მათ მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. ჟურნალის გარეკანზე იბეჭდება ზოგიერთი მათგანის ნამუშევრები.

**გუგა მიქაძე,**
მოქანდაკე, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან არსებული ესთეტიკური აღზრდის სექციის თავმჯდომარე.

გადაეცა ასაწყობად 9/XII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I-74 წ., ქაღალდის ზომა 70 × 108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55 300, შეკვ. № 3897, უე 01601. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.







ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტი

ფოტო მ დათიკაშვილისა და ა სააკოვისა

სპორტი ათასგვარი მოულოდნელობით არის სავსე: უცნაური შემთხვევები, გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები, უნებლიე დანაშაული, ფათერაკი, გამარჯვებით გამოწვეული დაუოკებელი სიხარული, დაძაბული მოლოდინი, დამარცხების სევდა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი განცდა და შემთხვევა არის დაკავშირებული სპორტთან.

მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ფოტოსურათს, რომლებზეც სპორტსმენთა მრავალფეროვანი ცხოვრების ეპიზოდებია ასახული.

## კროსვორდი




ვერტიკალურად: 1. პიონერთა დასასვენებელი ბანაკი. 2. ა. ყაზბეგის ერთ ერთი ნაწარმოები. 3 მდინარე საბჭოთა კავშირში. 5 ჭურჭელი, რომელსაც ლაბორატორიებში ხმარობენ. 6. ძველი თბილისის უბანი 9 ქიმიური ელემენტი. 10. ქართველი ფეხბურთელი 12. ხეობა კავკასიონზე. 13. მოკავშირე რესპუბლიკა. 15 ვ. ი ლენინის მიერ დაარსებული გაზეთი 16. მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების პერსონაჟი. 22. ქალაქი უკრაინაში. 24. მდინარე ევროპაში. 25. კრეისერის სახელი 26 მამაკაცის სახელი. 27. მგალობელი ფრინველი

ჰორიზონტალურად: 4 გამოჩენილი ქართველი პოეტი. 7. სახელმწიფო აზიაში. 8. მხატვრული ლიტერატურის გვარი. 11. შინაური ფრინველი 14 ჰავაის კუნძულთა ჯგუფის კუნძული 16 ბოსტნეული 17. საესტრადო ანსამბლი 18 სტადიონი მეხიკოში 19 დაცინვის ფორმა. 20 მწერი. 21. საბჭოთა კავშირის უკიდურესი წერტილი სამხრეთით. 23. მთიანი მხარე საბჭოთა კავშირში. 25 მითოლოგიური გმირი 28 ინდური კინოფილმი. 29. მდინარე ევროპაში 30. სახელმწიფო ამერიკაში

### № 12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. კვარი 6 ონაგრი. 9. ამური. 10. ფუგა 11 ჯარა. 12. კანი. 13. სინა. 16. ოდილია 17. „პარიზი“. 19. „დარიკო“ 22 რამსეი. 25. იაგო. 27 გობი. 28. ბიზე. 30. უშბა. 31. ავგია. 33. ეოლითი. 34 გრიგი.

ვერტიკალურად: 1. ორბი. 2 აქატი. 3. კატული. 4. თორა. 5. მირაბო 7 ისანი. 8. აფაზია 14. „ასია“ 15. ჯილი. 18. რუსო 20. კილი. 21. ბილბაო. 23. იაზონი. 24. მორზე. 26. გოგოლი. 29. აკინი. 30. უნია. 32. ბორი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა









ИНДЕКС 76056